# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 6 მარტი, 2013 წელი.

№42 (7169)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

## პრეზიდენტისა და პრემიერის შეხვედრის შემდეგ სააკაშვილის მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია უფრო მეტ კითხვას შეიცავს, ვიდრე პასუხს

4



## ფრენა-ფრენიდან – „მაოხრებელ გზირობამდე“!..

7

## ნაციონალურმა სამეურვეო საბჭომ თავი შეირცხვინა

3



## საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერი კიდევ უფრო დაშორდნენ ერთმანეთს

8

# პრეზიდენტი გაგვეზუტა!

რა უჯდება ქვეყანას სააკაშვილის ხუშტურები?

9

## 71-ე მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს

6

დარგს ყურადღება სჭირდება!

გურამ ოდიშარია:



## კულტურის აღორძინება ფოთიდან უნდა დავიწყოთ!

11

## „რუსთავი-2“-ის პროდიუსერს სააკაშვილისთვის არ მოუსმენია

7



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№42. ოთხშაბათი, 6 მარტი, 2013 წელი.

# ბიძინა ივანიშვილი თომას ჰამერბერგს შეხვდა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ევროკავშირის სპეციალურ კონსულტანტს სამართლებრივ-კონსტიტუციურ და ადამიანის უფლებების საკითხებში თომას ჰამერბერგს შეხვდა.**

როგორც პრემიერის პრესსამსახურიდან იტყობინებიან, ჰამერბერგი საქართველოში ბიძინა ივანიშვილის მოწვევით, ევროკავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ქეთრინ ეშტონმა და გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა შტეფან ფულემ გამოგზავნეს.

— თომას ჰამერბერგის მისიის მიზანია, უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში, ევროკავშირის სახელით, საქართველოს მთავრობას გაუწიოს კონსულტაციები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სასამართლო რეფორმა, კონსტიტუციური რეფორმა, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა, პენიტენციური რეფორმა, ადამიანის უფლებების დაცვა და სხვა. ჰამერბერგი აქტიურად მიადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე რეფორმებსა და პროცესებს. ამგვარად, მისი საქმიანობა დაეხმარება მთავრობასა და პარლამენტს რეფორმების უკეთ წარმართვაში, — აცხადებენ პრემიერის აპარატში.

საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, რომ თომას ჰამერბერგი ხელს შეუწყობს ევროსტრუქტურების სათანადო ინფორმირებას საქართველოში მიმდინარე პროცესებზე.

**ინტერპრესი**

# ბიძინა ივანიშვილის ქონება 1,1 მილიარდი დოლარით შემცირდა

**ჟურნალ „ფორბსის“ მონაცემებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ქონება გასულ წელთან შედარებით 1,1 მილიარდი დოლარით შემცირდა.** გამოცემამ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე პლანეტის უმდიდრესი ადამიანების რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც ბიძინა ივანიშვილი 229-ე ადგილს იკავებს. გამოცემის ცნობით, საქართველოს პრემიერის ქონება 5,3 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც 1,1 მილიარდი დოლარით ნაკლებია გასული წლის მონაცემებთან შედარებით. 2012 წელს გამოქვეყნებული „ფორბსის“ რეიტინგის თანახმად, საქართველოს პრემიერის ქონება 6,4 მილიარდ დოლარს შეადგენდა.




# წერტილოვანი ფრაზები

● „რა მინდა ვიკითხო:
მაქვს თუ არა უფლება არ ვუსმინო ადამიანებს, რომლებიც იძახიან, რომ არიან ნაპოლეონები, მოცარტები, გარსია ლორკები, საქართველოს პრეზიდენტები დ.ა.შ?

● „მიშა+ელექტრომობილი=დენზე მიბმული ნაგავი“

● „ორი „აბეზალოვკა“ გვაქვს ქართველებს... მიშას და ამერიკის ელჩის ყურება და მოსმენა ყოველდღიურად და ძილის წინაც რომ ამათმა გვიღიღინონ, არ მოსულა?“

● „პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ნატოსთან და სიტყვა იგი იყო „მაპი“.

● „მიშამ თქვა, როგორც პრეზიდენტს, მე საქმე აღარ მაქვს, მაგრამ თქვენი ხათრით პოსტზე ვრჩები, რომ დემოკრატიული სივრცე შევინარჩუნოთო. პირადად მე გათავისუფლებ ჩემი წილი დემოკრატიული სივრცის შექმნის მოვალეობისგან, მე არ მომიხათრო, მიშა, მიმატოვე, ახია ჩემზე“.

● „საკმარისი იყო საფრანგეთის საელჩოს განეცხადებინა, რომ სახელმწიფო მართვის სკოლის (ENA) დიპლომი არის იურიდიული განათლების დიპლომი, რომ ნაციონალებში ანტიფრანგული ისტერია დაიწყო. ერთ-ერთმა, კი საფრანგეთის ელჩი ქრთამის აღებაშიც დაადანაშაულა... რა ცოტაა საკმარისი, იმისთვის რომ ნაციონალებმა თავად დაანგრიონ მათი პროევროპელების და დემოკრატობის მითი“.

● „ნაცებმა თავიანათი დიპლომები და სერტიფიკატები ისეთ სქელ ფურცლებზე დააბეჭდინეს, დაჟე კუჭაშლილიც ვერ გამოიყენებს“.

● „სასწორზე ცალ მხარეს წულუკიანის საბავშვო ბაღის მოწმობა რომ დადო და მეორეზე მთელი ნაცმოძრაობა თავიანთი მრავალდიპლომიანი პრეზიდენტით, დიპლომებით, მაინც ის მოწმობა გადაწონის“.

**გია გაბრიჭიძე**

**ინფორმაცია**

# ნაცებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ — თეა წულუკიანს აქვს იურიდიული განათლება



**საფრანგეთის სახელმწიფო მართვის სკოლის (ENA) დიპლომირებულ პირს აქვს იურიდიული განათლება, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოში საფრანგეთის საელჩოს პრესატაშემ ქსავიერ როუარდმა განუცხადა.**

ამის დამადასტურებელი საუკეთესო მაგალითი ის არის, რომ ENA-ს საუკეთესო კურსდამთავრებულები მუშაობენ საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოში, რომელიც ადმინისტრაციული მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოა.

— ისინი მუშაობენ კონტროლის პალატაში, რომელიც სასამართლო ორგანოა, ასევე იმ ინსტიტუტებში, სადაც საჭიროა იურიდიული განათლება. თეა წულუკიანმა შეძლო მუშაობის დაწყება ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში. ამიტომაც, ვადასტურებ, რომ, როგორც ENA-ს ყველა კურსდამთავრებულს, ქალბატონ თეა წულუკიანს აქვს იურიდიული განათლება, — აღნიშნა ქსავიერ როუარდმა.

კითხვაზე, იძლევა თუ არა ENA იურიდიულ განათლებას, პასუხი არის დადებითი, — ამის შესახებ საფრანგეთის ელჩმა საქართველოში რენე სალენსმა განაცხადა.

მისივე თქმით, საფრანგეთის სახელმწიფო მართვის სკოლა (ENA) 1945 წელს დაარსდა და იგი ორ წელიწადში ამზადებს კადრებს მაღალი სახელმწიფო თანამდებობებისთვის.

— ეს არის სკოლა, რომელშიც ისწავლა საფრანგეთის სამმა პრეზიდენტმა, შვიდმა პრემიერ-მინისტრმა და ძალიან ბევრმა მინისტრმა, მათ შორის სამმა იუსტიციის მინისტრმა. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ სტუდენტები წყვეტენ, რომელ ადმინისტრაციაში



გააგრძელებენ მუშაობას. როდესაც მე ვამბობ ადმინისტრაციას, ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ, იმუშაონ იურისტებად. თუ კითხვა არის დასმული ასე — იძლევა თუ არა ENA იურიდიულ განათლებას, პასუხი არის დადებითი, — განაცხადა სალენსმა.

# ნუკრი ხუხუამ თანამდებობა დატოვა

**ქსნის №15 სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორმა ნუკრი ხუხუამ თანამდებობა დატოვა.**

როგორც ხუხუამ განაცხადა, თანამდებობიდან წასვლის შესახებ გადაწყვეტილება პირადად მიიღო.

თუმცა ქსნის №15 სასჯელაღსრულების დაწესებულების აწ უკვე ყოფილი დირექტორი გადაწყვეტილების მიღების მიზეზებს არ აკონკრეტებს.

ამასთან, ვრცელდება დაუდასტურებელი ინფორმაცია, რომ პატიმრები ხუხუას თანამდებობაზე დაბრუნებას ითხოვენ.

**ინტერპრესი**

**ინფორმაცია**

# საქართველოს ეკონომიკაში აღმავლობაა და ნაცები დეზინფორმაციას უნდა შეეშვან



**ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწოდებს, შეეშვან მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას. მინისტრის თქმით , გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ბიუჯეტში 600-მილიონიანი რღვევაა, სიმართლეს არ შეესაბამება. ამის შესახებ ნოდარ ხადურმა ჟურნალისტებს გუშინ, სამინისტროსა და კავკასიის უნივერსიტეტს შორის მემორანდუმის გაფორმების შემდეგ განუცხადა.**

**— ძალიან საინტერესო ციფრი დასახელდა გუშინ და გაკვირვებისგან კომენტარის გაკეთების სურვილიც აღარ გამიჩნდა. საქართველოს ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლები წლის განმავლობაში უნდა იყოს 6 მილიარდ 600 მილიონი ლარი. თებერვალში 600-მილიონიანი გარღვევა ვინც თქვა, თქვენ როგორ გგონიათ, მიმატება გამოკლება თუ იცის. საქართველოს ბიუჯეტი გადაჭარბებით სრულდება. წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს მე მინდა ვთხოვო, რომ თავი გაანებონ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას და მათ დაბნევას. ყველაფერი არის ძალიან კარგად, საქართველოს ეკონომიკაში არის აღმავლობა. მიმდინარეობს მცირე და საშუალო ბიზესის განვითარება, — განაცხადა ხადურმა.**

**მისივე თქმით, ბიუჯეტი გადაჭარბებით სრულდება არა მარტო გეგმებთან დაკავშირებით, არამედ წინა წლის აღნიშნულ პერიოდთან შედარებით. მისივე ინფორმაციით, ბიუჯეტში თავისუფალი სახსრების სახით 800 მილიონ ლარზე მეტი დევს.**



**მედიასაშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2013 წლის მხოლოდ პირველ ორ თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში 600 მილიონ ლარამდე ოდენობის გარღვევაა.**

# ფინანსური ამნისტია თუ ნაცების ბიზნესის დაცვა?

**საპარლამენტო უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეკონომიკურ-ფინანსურ დანაშაულთა ამინისტირებისა და დეკრიმინალიზაციის ინიციატივა პრეზიდენტმა მასთან დაკავშირებულ ნომენკლატურული, პარტიული ბიზნესის დაცვის მიზნით მოამზადა.**

**ასეთი პოზიცია ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში საკანონმდებლო პაკეტის განხილვისას დაფიქსირდა.**

**კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის სურვილია, ბიზნესმენთა ის ნაწილი, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პირობებში ხელშეუხებელი იყვნენ და სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ვერავინ გაუბედავდა, კვლავ პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.**

**ამასთან, კომიტეტის სხდომაზე ყურადღება გამახვილდა პროცედურულ საკითხებზე და დეპუტატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პრეზიდენტი**



**ვალდებული იყო, ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები შეეთანხმებინა შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან.**

**ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრები იმასაც ამბობენ, რომ მიხეილ სააკაშვილს შეეძლო ფინანსური და ეკონომიკური დანაშაულთა დეკრიმინალიზება და ასეთი ტიპის გადაცდომების ამინისტირება პირველ ოქტომბრამდე განეხორციელებინა. თუმცა უმრავლესობის წევრების აზრით, პრეზიდენტი ახლა ცდილობს ჰუმანური ადამიანის შთაბეჭდილება მოახდინოს და წარმოდგენილი ინიციატივის იდენტიფიცირება მის პერსონასთან დააკავშიროს.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ ვითხოვ ყურადღებას

# ბოროტად გამიზნული დეზინფორმაცია



**საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს – ბატონ ლევან გახელაძეს, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს აღმასრულებელ დირექტორს – ქალბატონ თამარ კორძაიას**

## ჟურნალისტ ეკა კვესიტაძის მიერ მიზანმიმართული დეზინფორმაციის გავრცელების გამო

**პატივცემულნო,**

მოგმართავთ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, 2013 წლის 1 მარტს გასულ გადაცემა „აქცენტებთან“ დაკავშირებით, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, ქ-ნი ე. კვესიტაძე უძღვებოდა. გადაცემის გამძღოლმა მოახდინა საზოგადოების განზრახ დეზინფორმირება. კერძოდ:

გადაცემის მსვლელობიდან დაახლოებით 08 წუთიდან და 10 წამიდან მოყოლებული, მან საუბარი დაიწყო ქართული ინტელიგენციის და ახალგაზრდობის შეკრებაზე გავრცელებული შემაჯამებელი განცხადების ტექსტის შესახებ, რომლის შინაარსი და არსი დაამახინჯა, წაკითხული ტექსტიდან ცალკეული ფრაზების ამოღებისა და მანიპულირების გზით. კვესიტაძე ამბობს, რომ ევრაზიის ინსტიტუტმა გაავრცელა დოკუმენტი, რომელშიც 2008 წლის ომთან დაკავშირებით თითქოს ასეთი რამ იყოს ნათქვამი:

**„ომი არც რუსეთს და არც საქართველოს არ დაუწყია, ომის დაწყება ცალკეული პოლიტიკოსების ნებამ განაპირობა. აგვისტოს ომი უდიდესი ტრაგედიაა, მაგრამ ამ ტრაგედიამ უფრო უნდა დაგვაახლოვოს ერთმანეთს“**.

ამასთან, ქ-ნი ეკა რაღაც მითიურ „სააგენტოებს“ იშველიებს მოწმედ, რომლებმაც თითქოს ასეთი ტექსტი გაავრცელეს, რაც სრული სიცრუეა. ერთადერთი საინფორმაციო წყარო, რომელმაც რეზოლუციის ტექსტიდან ამონარიდები გაავრცელა ამ მომენტისათვის, როდესაც ეს წერილი იწერება, გახლავთ ინტერნეტ-გამოცემა „ნეტგაზეთი“. აღნიშნული გამოცემა სავსებით კორექტულად გადმოსცემს 27 თებერვალს სასტუმრო „ვერე-პალასში“, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის წარმომადგენელთა შეხვედრაზე გავრცელებული დოკუმენტის ცალკეულ ამონარიდებს, მათ შორის, ზემოთ მოყვანილი დამახინჯებული ციტატი „ნეტგაზეთში“ ასეთი (ანუ სწორი) რედაქციით არის გამოქვეყნებული:

**„2008 წლის აგვისტოს ომის შეფასებაში მთლიანად მხარს ვუჭერთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის პოზიციას: ომი არც რუსეთს და არც საქართველოს არ დაუწყია, ომის დაწყება ცალკეული პოლიტიკოსების ნებამ განაპირობა. აგვისტოს ომი უდიდესი ტრაგედიაა, როგორც ქართველებისა და ოსების ურთიერთობაში, ისე ქართველებისა და რუსების ურთიერთობაში. ამ ტრაგედიამ უფრო უნდა დაგვაახლოვოს ერთმანეთს, რათა მისი მსგავსი მოვლენა მომავალში გამოირიცხოს“.**

როგორც ხედავთ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის მოსაზრება ქ-მა ეკამ ევრაზიის ინსტიტუტს „მიაწერა“, გარდა ამისა, ამოიღო მეტად მნიშვნელოვანი ფრაზა იმის თაობაზე, რომ ომი უდიდესი ტრაგედიაა ქართველების ურთიერთობებში ოსებთან და რუსებთან, ხოლო ამ ტრაგედიამ უნდა დაგვაახლოვოს ერთმანეთს იმ მიზნით, რომ მსგავსი ტრაგედია მომავალში გამოირიცხოს. ციტატის ამგვარმა შეკვეცამ აზრობრივად დაამახინჯა იგი. **ცნობისათვის:** რათა ეჭვი არ შეგეპაროთ, აქვე მოვახდენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გაკეთებული განცხადების ციტირებას, რომელიც გამოყენებულია ევრაზიის ინსტიტუტის დოკუმენტში. კერძოდ, პატრიარქმა მოსკოვში თავისი ბოლო ვიზიტისას (ამა წლის იანვარი) განაცხადა:

**„მე შევხვდი ვლადიმერ პუტინს და შევთანხმდით, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. რუსეთის პრეზიდენტი ყველაფერს გააკეთებს, რათა ჩვენ მოძმე სახელმწიფოებად დავრჩეთ“,** — ბრძანა ილია მეორემ.

როგორც პატრიარქმა აღნიშნა, **მომხდარში „არც საქართველოა დამნაშავე და არც რუსეთი“.**

**„ეს ცალკეული ადამიანების ბრალი იყო. მადლობას ვუხდი ყველა აქ დამსწრე ადამიანს იმისათვის, რომ გიყვართ საქართველო და ჩვენ ამას ვგრძნობთ“.**

სააგენტო „ივერონის“ 2013 წლის 24 იანვრის ამ ცნობის გადამოწმება რუსულ საიტებზე, ასევე, რა თქმა უნდა, საქართველოს საპატრიარქოში, შეიძლება. ეს ინფორმაცია უტყუარია და სწორედ მას დაეყრდნო ევრაზიის ინსტიტუტი, რაც ქ-მა კვესიტაძემ ურცხვად დამალა.

აშკარაა, რომ ქ-ნი ეკა სტუდიაში მყოფი ქალბატონი ირმა სოხაძისა და მთლიანად საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელთა დეზინფორმირებას განზრახ ეწეოდა, სხვა ახსნა დოკუმენტიდან ამოღებული ციტატის ამგვარ შეკვეცას არ მოეძებნება. ამით მან ბოროტად გამოიყენა საზოგადოების მიერ დაფინანსებულ ტელეარხზე დაკავებული ადგილი, რაც, შესაძლოა, ყოფილი ხელისუფლების „ანალიტიკოს“ პოლიცმაისტერებთან დაახლოებული პირისთვის საკადრისი საქციელი იყოს, მაგრამ ჟურნალისტისთვის აშკარად მიუღებელი ქმედებაა. ამით ქ-მა ეკამ პირდაპირ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკა.

გარდა ამისა, გადაცემაში მრავალჯერ იქნა ნახსენები ჩემ მიერ დაარსებული ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტი“. ქ-ნი ეკა ცდილობდა, თავის გემოვნებით შერჩეული რესპონდენტებისგან მიეღო განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რა განზრახვა ჰქონდა ჩვენს ინსტიტუტს, როდესაც ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის წევრთა შეკრებას აწყობდა. რა თქმა უნდა, ქ-ნ ეკას თავში აზრადაც არ მოსვლია, რომ ამის შესახებ უშუალოდ ევრაზიის ინსტიტუტისათვის მოემართა შეკითხვით, რომელსაც აქვს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, დარეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და სავსებით ღიად ფუნქციონირებს, არ გაურბის ურთიერთობას ჟურნალისტებთან.

იყო ჩვენი ინსტიტუტის რეპუტაციის შელახვის მცდელობა, თითქოს ჩვენ ვიღაცის პოლიტიკურ დაკვეთას ვასრულებთ — ეს „ვიღაც“, რა თქმა უნდა, რუსეთის ფედერაციაა. 2009 წელს დაარსებული ჩვენი ინსტიტუტის სახელწოდებას იხსენიებდნენ ევრაზიის კავშირის კონტექსტში, რომელიც რუკაზე ჯერ საერთოდ არ არსებობს და საქართველოს იქ არც არავინ ეპატიჟება. მაგრამ კვესიტაძე ჯიუტად ცდილობდა, ჩვენი ინსტიტუტი დაეკავშირებინა არარსებულ ევრაზიის კავშირთან. ესეც უფრო სპეცსამსახურების მოძველებული მეთოდია, ვიდრე საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტისთვის საკადრისი საქციელი. ყველაზე არაობიექტური მასმედიაც კი, ობიექტურობის ფასადის შესანარჩუნებლად, შეეცდებოდა, ინფორმაციის მიღებას პირველწყაროსგან — ამ შემთხვევაში, ევრაზიის ინსტიტუტისგან. მაგრამ ქ-ნ კვესიტაძეს იმდენად აშინებს სიმართლე და იმდენად არის გართული სპეცსამსახურებში ყურმოკრული პოლიტტექნოლოგიების ათვისების მცდელობით, რომ მან ასეთი პრიმიტიული ხერხის გამოყენებაც ვერ გაბედა. თუმცა, ასეა თუ ისე, მან ამ მხრივაც დაარღვია ჟურნალისტური ეთიკა. აღარაფერს ვამბობ გადაცემაში მის მიერ არჩეულ ისტერიულ ტონზე, ტენდენციურობასა და პრიმიტიულად დასმულ შეკითხვებზე, თუმცა, ეს უკვე გემოვნების საკითხია.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი მაუწყებლის მესვეურებს მოგმართავთ პატივისცემით, მაგრამ კატეგორიული მოთხოვნით:

**წინამდებარე წერილი წაკითხულ იქნას სრულად, საზოგადოებრივი მაუწყებლის იმავე გადაცემის ფარგლებში, რომლითაც ჩვენი ინსტიტუტის შესახებ საზოგადოებას ბოროტად გამიზნული დეზინფორმაცია მიეწოდა.**

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს აღმასრულებელ დირექტორს, ასევე პატივისცემით, მოგმართავთ:

**მიეცით შეფასება ე.კვესიტაძის მიერ 1 მარტის გადაცემა „აქცენტებში“ გამოვლენილ მისწრაფებებს და მხარი დაგვიჭირეთ მოთხოვნაში, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დეზავუირება გაუკეთოს თავისივე ეთერით გავრცელებულ ინსინუაციებს.**

დანართის სახით გიგზავნით **კრებაზე გავრცელებულ დოკუმენტს,** რომელიც არ ყოფილა ხელმოსაწერად გამიზნული, არამედ მას შეკრებილი საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ სიტყვიერად დაუჭირა მხარი, ცალკეული სტილისტური ხასიათის შენიშვნების გათვალისწინებით.

საუკეთესო სურვილებით,

**გულბაათ რცხილაძე,**
**პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი,**
**ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი**
**თბილისი, 2 მარტი, 2013**

◉ აურზაური საზოგადოებრივ მაუწყებელში

# ნაციონალურმა სამეურვეო საბჭომ თავი შეირცხვინა

**გუშინ ვწერდით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ხათუნა ბერძენიშვილმა „ცხელ გულზე“ გახმოვანებული ინფორმაციით, საკუთარი თავიც მოიჭრა და სამეურვეო საბჭოსადმი მაუწყებლის მთელი კოლექტივის უნდობლობის საფუძველიც შექმნა.**

ქართველი ხალხის მიერ დაფინანსებული ტელევიზიის ბოლოდროინდელი „მოღვაწეობა“ მიმწუხრის პირას მისული ნაციონალური მოძრაობის გაფართხალებას ჰგავს — მიკერძოებულობა, მაამებლობა, საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებული ქვეყნის დამაქცევარი პარტიის ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა, ხალხის დაბოლება და ჟურნალისტური ეთიკის დარღვევა...

ტელემაყურებელთა ერთსულოვანი აღიარებით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, არჩევნების შემდეგ, სიცრუესა და მიკერძოებაში თვით 2003 წელს ხალხზე გამარჯვებულ ტელევიზიას „რუსთავი-2“-საც გადაასწრო და პაიჭაძე-კვესიტაძის იდეოლოგიის გამტარებელი გახდა.

ის, რაც გუშინწინ საზოგადოებრივი მაუწყებლის ნაციონალურმა სამეურვეო საბჭომ „დახურულ“ სხდომაზე 6 წლით დანიშნულ გიორგი ბარათაშვილს „გზაში დააწია“ (გენდირექტორი მივლინებით საზღვარგარეთ მიდიოდა!), არა მხოლოდ „ბორდის“ ორი თვის წინანდელი გადაწყვეტილების შეურაცხყოფაა, არამედ — მილიონობით ტელემაყურებლისაც.

ხათუნა ბერძენიშვილის ნაბჟუტურევის გამო განა შეიძლება ახლად დანიშნული გენდირექტორი უაპელაციოდ გაანთავისუფლო? მართლა ხომ არ გგონიათ, რომ ტელეჟურნალისტიკისთვის აბსოლუტურად უცნობი გიორგი ბარათაშვილი „ქართული ოცნების“ მხარეს გადაბარგდა? „ბორდის“ არჩეული კაცი ამას ვერასგზით ვერ გაბედავდა, რადგანაც მაუწყებლის საინფორმაციო პოლიტიკა მთლიანად საკაშვილის ლაქია იყო და თქვენგან იმართებოდა. ხათუნა ბერძენიშვილმა და „ბორდის“ თავკაცმა ლევან გახელაძემ იმდენი თხარეს, თხარეს, რომ დიდი კატა გამოთხარეს...

„საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო არ იძლევა საშუალებას, პოლიტიკურად ნეიტრალური ან პოლიტიკურად გაწონასწორებული იყოს... საბჭო უნდა იყოს ისეთი, რომელიც საზოგადოების თამაშს ითამაშებს და არა ჩემი — უმრავლესობის თუ მათი ოპოზიციის“, — განმარტავს დიპლომიანი იურისტი, პარლამენტარი ვახტანგ ხმალაძე.

„სამეურვეო საბჭო აბსოლუტურად უპასუხისმგებლოდ იქცევა. საზოგადოებრივ მაუწყებელში გამეფებული ქაოსი რომ მოისპოს, სასწრაფოდ უნდა მივიღოთ ახალი კანონი მაუწყებლის შესახებ, დაკომპლექტდეს „ბორდის“ ახალი შემადგენლობა“, — ამბობს ჟურნალისტი (პროფესიით იურისტი) ლაშა ტუღუში.

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას აპროტესტებენ და სპეციალურ განცხადებას ავრცელებენ, რომელსაც 200-ზე მეტი თანამშრომელი აწერს ხელს. განცხადებაში ნათქვამია: „საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, მაუწყებლის თანამშრომლები უნდობლობას ვუცხადებთ სამეურვეო საბჭოს და ვითხოვთ შეჩერდეს მაუწყებლის გენერალური დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი საკითხის სამართლებრივ გარკვევამდე“.

თვით გიორგი ბარათაშვილმა გუშინ პრესკონფერენცია მოიწვია და სამეურვეო საბჭოსადმი ჩივილის გადაწყვეტილება მიიღო, დაცვის პრობლემის მოწესრიგება კი „საიას“ — ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას სთხოვა.

**...დავდგეთ ახლა და ვუყუროთ მიშასგან დაშინებულ-გაბრიყვებული „თავისუფალი“ ჟურნალისტების იწილობიწილოს...**
**ჩვენ მეტის ღირსნი არა ვართ, რადგანაც მიშავიზიების ანტისახელმწიფოებრივ „მარგალიტებს“ 10 წელიწადია ვითმენთ!..**

**სპარტაკ ქობულია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შეხვედრის ექო



პრემიერისა და პრეზიდენტის შეხვედრის სავარაუდო შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტს სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.

# პრეზიდენტისა და პრემიერის შეხვედრის შემდეგ სააკაშვილის მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია უფრო მეტ კითხვას შეიცავს, ვიდრე პასუხს

**— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებდით პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებებს? მისი განცხადებებიდან ვერც ის გავიგეთ, თუ რატომ ითხოვდა იგი ასე დაჟინებით პრემიერთან შეხვედრას და ვერც ის, თუ რა პასუხი გასცა მან პრემიერს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით...**

— პრეზიდენტისა და პრემიერის შეხვედრის შემდეგ ბატონ სააკაშვილის მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია უფრო მეტ კითხვას შეიცავს, ვიდრე პასუხს. და ეს კითხვა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, თუ რატომ მიიღო მიწვევა პრეზიდენტმა ამ შეხვედრაზე, თუ სათქმელი არაფერი ჰქონდა პრემიერ-მინისტრისა და ქვეყნის მოსახლეობისთვის. იმდენი თემა გაიხსენა შეხვედრის კომენტირებისას ბატონმა მიხეილმა, რომ ძნელად წარმოსადგენია რომელიმე მაინც თუ ეხმიანებოდა ამ შეხვედრის მიზეზს. არადა, სრულიად მკაფიო იყო პრემიერ-მინისტრის სურვილი, მიეღო პასუხი მარტივ კითხვაზე, პასუხი, რომელიც უნდა ყოფილიყო — დიახ ან არა.

ამის ნაცვლად დაიკარგა დიდი დრო, როგორც შეხვედრის მოლოდინში, ასევე მისი შედეგების მოსმენისას. ცხადია, გაკვირვებას ნამდვილად არ იწვევს ის ფაქტი, რომ შედეგი არ არის რაიმენაირად ფორმულირებული სააკაშვილის მიერ, რადგან ის, მსგავსად პუტინის ხელოვნებისა, ორიენტირებულია მუდმივად იმაზე, რომ შედეგი არ დადგეს. ჩვენ ათ წელზე ოდნავ მეტია, დავდივართ პუტინის აღვირს გამობმული ჟენევაში იმისთვის, რომ შედეგი არ დადგეს და ეს შედეგი აწყობს მხოლოდ რუსეთს.

საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ მიბაძა პუტინს, იგი ჩართულია პრემიერთან კომუნიკაციაში მხოლოდ იმისათვის, რომ რეალური შედეგი არ დადგეს. ერთადერთი, რაც სურს პრეზიდენტს რომ დადგეს შედეგი, ეს გახლავთ მოახლოებული აპრილი. პრეზიდენტის მოქმედება და კომენტარები მიგვითითებენ მხოლოდ ერთზე, — სააკაშვილი მოტივირებულია, რომ გამოიყენოს მისივე პირმშო, ქართული კონსტიტუციის მუხლი, რომელიც მას ყველანაირ უფლებას აძლევს, ანგარიში არ გაუწიოს არც პარლამენტს, არც საქართველოს მოსახლეობას და ისეთივე პათოსით, როგორითაც ის შეხვედრის შემდეგ საუბრობდა სასამართლოსა და მედიის თავისუფლების აუცილებლობაზე, გამოაცხადოს, რომ იგი ძალიან ეცადა, ქვეყანა ყოფილიყო სიკეთისკენ მიმავალი, მაგრამ მას რეალობა არწმუნებს, რომ ქვეყანა უკან, წარსულში მიდის და არ არის გამორიცხული, ის რუსეთის გუბერნია გახდეს. ამ რიტორიკის ფონზე იგი მზადაა, პარლამენტიც დაითხოვოს, მაგრამ ამას მაშინ გააკეთებს, როცა დარწმუნდება, რომ მისი მთავრობის წევრები ჩაატარებენ მომავალ არჩევნებს.

**— პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური სტაგნაციაა, არაფერი კეთდება, ყველაფერი გაჩერებულია, მაგრამ გასულ კვირას ეკონომიკის სამინისტრომ ორი თვის შედეგები შეაჯამა, რომლის მიხედვითაც წელს, ორი თვის მონაცემებით, შარშანდელთან შედარებით, ბიუჯეტში 22 მილიონი ლარით მეტი შევიდა. ძნელი დასაჯერებელია პრეზიდენტმა ეს არ იცოდეს...**

— არსებობს თემები, რომლებიც მას არა თუ არ უნდა დაინახოს, შეიძლება შოკშიც აგდებს. წლების განმავლობაში უმცროსი გლუკსმანი და სხვა მრჩევლები პრეზიდენტს საკუთარი კომპლიმენტებით და მხოლოდ იმ ინფორმაციის მიწოდებით ანებივრებენ, რომელიც მის ფსიქიკას რაიმე სარჩოს შეჰმატებდა. სიტუაცია იცვლება და ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ სულ მალე სააკაშვილისთვის, ისევე, როგორც მომაკვდავი ლენინისთვის გაზეთის თითო ეგზემპლარი დაბეჭდონ. ეს კი, ვერანაირ სიამოვნებას ვერ მოგვრის ჩვენი ქვეყნის ვერც ერთ მოქალაქეს. ახლა ის დროა, როცა „ნაცმოძრაობის“ აქტივი მეტს ფიქრობდეს საკუთარი კერპის ჯანმრთელობაზე. უკვე ზედმეტ მტკიცებულებებს აღარ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ბატონი მიხეილის საარსებო გარემო დღეს მტკნარი ტყუილი და უსაფუძვლო ფანტაზიაა.

**— პრემიერ-მინისტრმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ პრეზიდენტი და „ნაცმოძრაობის“ მთელი გუნდი კვლავ „ვირტუალურ სამყაროში იმყოფებიან“, რომ პრეზიდენტთან შეხვედრა გახლდათ „შეხვედრა-შეხვედრისთვის“. ეს რომ ასე იქნებოდა, თქვენც პროგნოზირებდით, მაგრამ მაინც პასუხგაუცემელი რჩება კითხვა — ხომ არ ცდილობს პრეზიდენტი პრემიერთან შეხვედრით დასავლელ პარტნიორებს კოჰაბიტაციის ილუზია შეუქმნას?**

— გამომდინარე იქიდან, თუ რა ტერმინოლოგია იხმარა სააკაშვილმა ამ შეხვედრაზე, ვრწმუნდებით, რომ იგი ამ შეხვედრაზე დღევანდელი რეალობის ასასახად მოტივირებული იყო სიცრუის გაჟღერებით. სააკაშვილის მიერ სასამართლოსა და მედიის თავისუფლებაზე საუბარი ბოლშევიზმის დრონდელი ლოზუნგების სახეს იძენს. როდესაც ანატოლი სობჩაკის პოლიტიკური კარიერის პიკი გადავლილი იყო, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა თქვა — სობჩაკს თავს ესხმიან კანიბალები იმ მოტივით, რომ იგი ვეგეტარიანელია. სააკაშვილს ისე სურს წარმოაჩინოს ქვეყანაში არსებული ვითარება, თითქოს თვითონ არ იყოს არა თუ ამ ნაკლოვანებების, არამედ დანაშაულებების შემოქმედი, რომელსაც იგი ახლა თითქოს დასტირის.

**— ივანიშვილის განცხადებით, იგი და ქვეყნის ახალი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ წინა ხელისუფლებამ „საკუთარი სახე შეინარჩუნოს“. თქვენი აზრით, პრეზიდენტი და „ნაცმოძრაობა“ გამოიყენებს ამ შანსს, თუ ამაზე მთელ „ნაცმოძრაობაში“ არავინ ფიქრობს?**

— შესაძლოა, ამ შანსის გამოყენების სურვილი ბევრსაც ჰქონდეს, მაგრამ, რაც საჯარო სივრცეში ჩანს, სულ უფრო მცირდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთაც ექნებათ შესაძლებლობა ამ შანსის გამოყენების. ვგულისხმობ იმ გააქტიურებას, რომელსაც ვაკვირდებით ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში იმ „ნაციონალთა“ მხრიდან, ბევრისგან განსხვავებით ზიზღი არ ჰქონდათ დამსახურებული საზოგადოებისგან. მაგრამ, ახლა მათ რატომღაც გადაწყვიტეს, რომ დროა, გარკვეული ვალდებულებები შეასრულონ მმართველი პოლიტიკური ძალის ლიდერების მიმართ.

**კობა ბენდელიანი**

ინფორმაცია



## მოხდება თუ არა მელნიკოვის ექსტრადირება საქართველოში?

**ქართულმა მხარემ შსს-ის ყოფილი მაღალჩინოსნის ოლეგ მელნიკოვის უკრაინიდან საქართველოსთვის ექსტრადირებისთვის საჭირო პროცედურები დაასრულა. ამის შესახებ საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ჩილინგარაშვილმა განაცხადა.**

**მისივე განმარტებით, ამ ეტაპზე ქართული მხარე უკრაინული მხარის პასუხის მოლოდინშია.**

**— ჩვენი მხრიდან ყველაფერი გაკეთებულია, რისი გაკეთებაც სავალდებულო იყო. ყველა დოკუმენტი უკრაინული მხარისთვის უკვე მიწოდებულია. ახლა ველოდებით ოფიციალურ ნებართვას, რაც ჯერ არ მიგვიღია, შესაბამისად, ვერ ვახორციელებთ მელნიკოვის საქართველოში ეტაპირებას. როგორც კი უკრაინული მხარე მოგვაწვდის ოფიციალურ წერილს, სადაც მიუთითებს, რომ უკვე შეგვიძლია მისი საქართველოში გადმოყვანა, ჩვენ დაუყოვნებლივ უზრუნველვყოფთ ექსტრადირებას, — აღნიშნა ჩილინგარაშვილმა.**

**შსს-ის ყოფილი მაღალჩინოსანი ოლეგ მელნიკოვი, რომელზეც ქართულ მხარეს ძებნა ჰქონდა გამოცხადებული, გასული წლის 7 დეკემბერს უკრაინელმა სამართალდამცველებმა კიევში დააკავეს. ამ დროისთვის მას წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული.**

**ქართული მხარე მელნიკოვის სამშობლოში ექსტრადიციას ითხოვს. აღსანიშნავია, რომ მისი ადვოკატის მტკიცებით, საქართველოში ექსტრადიცია თავად მელნიკოვსაც სურს**

**ინტერპრესი**

ალიან-ჩალიანი

## რატომ დაიკარგა ეროვნულ ბიბლიოთეკაში ათმილიონამდე წიგნი?

**ეროვნულ ბიბლიოთეკაში ბეჭდვითი მასალის დაკარგვასთან დაკავშირებით შს სამინისტროს ძველი თბილისის სამმართველოს მეშვიდე განყოფილებაში სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო.**

**აღნიშნულთან დაკავშირებით უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ და ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილმა თანამშრომლებმა გუშინ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.**

**როგორც ბრიფინგზე მჟავანაძემ განაცხადა, ჯერ კიდევ 1977 წლის საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე ტომის მიხედვით ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში სულ დაცული გახლდათ 11 257 215 ბეჭდვითი მასალა.**

**— 1981 წლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამოცემული ცნობარით კი დაფიქსირებულია 13 387 282 ბეჭდვითი ერთეული, 2009 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე გამოჩნდა ინფორმაცია, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული ბეჭდვითი ერთეული შეადგენს 4 მილიონს.**



**მისივე თქმით, ათმილიონიანი დანაკლისის გამო ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილმა თანამშრომლებმა მიმართეს მთავარ პროკურატურას, რის შედეგადაც დაიწყო კიდეც გამოძიება.**

**— ათწლეულებია ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. გაურკვეველია ჯერ კიდევ 2006 წელს წიგნის პალატიდან ეროვნულ ბიბლიოთეკაში გადმოსული წიგნების რა რაოდენობა იქნა გადმოცემული. — აცხადებს ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომელი ირმა დოლიძე.**

**მისივე თქმით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული მძიმე მდგომარეობა არა მარტო წიგნის ერთეულების გაქრობას მოიცავს, არამედ ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებულ მძიმე მდგომარეობას.**

## პანტომიმის თეატრი უსიტყვოდ გაყიდეს

**პანტომიმის თეატრს ქუჩაში დარჩენა ემუქრება, რადგან რუსთაველის №37-ში მდებარე ე.წ. კაზარიანცის სახლი, რომელშიც 30 წელია, თეატრია განთავსებული, ერთ ლარად არის გაყიდული, — ამის შესახებ გუშინ თეატრის დამფუძნებელმა ამირან შალიკაშვილმა დასის წარმომადგენლებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**შალიკაშვილის თქმით, თეატრის შენობის გაყიდვის შესახებ მათთვის არავის უცნობებია. მისი განცხადებით, დაახლოებით 2-3 თვის წინ თეატრის ანგარიშზე გადაირიცხა 100 000 ლარი. თეატრის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო, დაედგინა, თუ ვისგან ან რა მიზნით იყო მათთვის გადარიცხული ფული და თანხა ისევ უკან დააბრუნეს, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ 100 000 ლარი ისევ მათ ანგარიშზე დაჯდა.**



**შალიკაშვილის თქმით, დაახლოებით ერთი კვირის წინ, ეკონომიკის სამინისტროში მათ გაარკვიეს, რომ პანტომიმის თეატრის შენობა საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 31 აგვისტოს განკარგულებით პირდაპირი მიყიდვის წესით შპს „ახალმა ოფისმა“ ერთ ლარად შეიძინა. მისი ცნობით, კომპანიამ ინვესტიციის სახით 2 000 000 ლარი უნდა განახორციელოს. ამასთან, პრესკონფერენციაზე ნასყიდობის ხელშეკრულებაც წარმოადგინეს, რომელიც ავალდებულებს შპს „ახალ ოფისს“, პანტომიმის თეატრს 100 ათასი ლარი გადაურიცხოს. მისი თქმით, ეს თანხა მათ დღესაც ხელუხლებლად უდევთ ანგარიშზე. შალიკაშვილი აცხადებს, რომ პანტომიმის თეატრმა შენობა 2014 წლის 31 დეკემბერს უნდა დატოვოს.**

**თეატრის დამფუძნებლის თქმით, მომხდარის შესახებ მათ აცნობეს თბილისის კულტურის საქალაქო სამსახურს, რომლის ბალანსზეც არის თეატრი. მერიიდან კი, მათ მიიღეს ინფორმაცია, რომ ალექსანდრეს ბაღში თეატრისთვის გამოყოფილია 919 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი.**

**პანტომიმის თეატრის დასი და ხელმძღვანელობა მომხდარს დაუშვებლად მიიჩნევენ და დახმარებას ითხოვენ.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია



დღეს საქართველოში ახალი რეალობაა, ქვეყანა შევიდა განვითარების ახალ სტადიაში, რომელიც საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი იქნება.

წინა პერიოდში დაზარალდა არა მარტო ეკონომიკა, არამედ უფრო მეტად მეცნიერება და უმაღლესი განათლება.

დღეს, საბედნიეროდ, რეალობა შეცვლილია, ახალი ხელისუფლება სერიოზულად დაინტერესდა მეცნიერებით, ჩვენ ვდგევართ საინტერესო გამოწვევების წინაშე. ქართულმა აგრარულმა მეცნიერებამ უნდა შევქმნათ ქართული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერული საფუძვლები.

ამას წინათ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ახალი პრეზიდენტი აირჩიეს — აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

### მოკლე ბიოგრაფიული ცნობა

გურამ ალექსიძემ 1962 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიის ფაკულტეტი. იმავე წელს ჩაირიცხა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1966 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1975 წელს — სადოქტორო დისერტაცია. 1989 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1990 წელს აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1992 წელს — ნამდვილ წევრად.

ბატონი გურამი 13 წლის განმავლობაში მუშაობდა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევით ინსტიტუტში უმცროსი, ხოლო შემდეგ უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე. 1973 წლიდან გადაიყვანეს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა ჯერ ლაბორატორიის ხელმძღვანელად, ხოლო შემდეგ, 1974 წლიდან, დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 1995 წლიდან 2004 წლამდე იყო აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, ხოლო 2004 წლიდან ვიცე-პრეზიდენტი.

1983-1987 წ. წ. ბატონი გურამი მუშაობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. ვაშინგტონში საბჭოთა კავშირის საელჩოში მთავარი აგრონომის თანამდებობაზე, როგორც საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი.

გამოქვეყნებული აქვს 160-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 62 საერთაშორისო გამოცემებში.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, საერთაშორისო ორგანიზაციების „სიჯიარისა“ და „იკარდას“ მიერ ორჯერ, 2005 და 2008 წლებში — მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი ერთობლივ კვლევებში შეტანილი წვლილისათვის.

ბატონი გურამი დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.

# ჩვენ უნდა შევქმნათ ქართული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერული საფუძვლები

**— ბატონო გურამ, რა მიგაჩნიათ უპირველესად აკადემიის უკეთ ფუნქციონირებისათვის?**

— უპირველეს ყოვლისა, აკადემია უნდა გახდეს აგრარული კვლევის ერთიანი ძლიერი ცენტრი. ამ მიზნით აგრარული პროფილის კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ამჟამად აგრარული უნივერსიტეტის დაქვემდებარებაშია, გამოყვანილი უნდა იქნას ამ სისტემიდან და დაექვემდებაროს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას. ამავე დროს, ინსტიტუტებს უნდა გადაეცეს ადრე მათ კუთვნილებაში მყოფი შენობა-ნაგებობები და ექსპერიმენტული ფართობები. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია უკლებლივ ყველა ინსტიტუტის ცალკე ფუნქციონირება, მაგრამ მათი შესაძლო გაერთიანებები, გამსხვილებები თემატიკიდან გამომდინარე, სრულად მისაღებია. ამავე დროს, ჩვენი აზრით, საჭირო იქნება აკადემიაში შეიქმნას **„დანერგვის (ახალი ტექნოლოგიების გავრცელების) განყოფილება“**, რომლის ძირითადი ფუნქციაც იქნება მოწინავე ტექნოლოგიების შერჩევა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, მათი გავრცელება.

აკადემიაში უნდა ჩამოყალიბდეს, აგრეთვე, **„ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის კურსები“**, სადაც ისინი გაივლიან მოკლევადიან თუ გრძელვადიან მოსამზადებელ კურსებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროში. ვფიქრობთ, ასეთი კურსები საწყის ეტაპზე, უნდა იყოს სახელმწიფო დაფინანსებით, შემდგომში კი შესაძლებელია მთლიანად ან ნაწილობრივ გადავიდეს თვითდაფინანსებაზე. ამავე დროს, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აკადემიის სისტემაში დაბრუნდეს დოქტურანტურა და აღდგეს აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოები.

ყოველივე ამის შედეგად, გვექნება ერთიანი ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებს აკადემიას (მეთოდურ ხელმძღვანელს), კვლევით ინსტიტუტებს (კვლევების უშუალო მწარმოებელს), დანერგვის განყოფილებას (ახალი ტექნოლოგიების უშუალო გამავრცელებელს), ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრს (ახალი ტექნოლოგიების გამტარებელს საკუთარ მეურნეობაში), და ახალგაზრდა კადრების მომზადების ცენტრს (დოქტურანტურას).

ამ სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შემდეგ შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციების ან ექსპერტების მხარდაჭერის იმედი ვიქონიოთ, რომლებსაც დღემდე ვერ გაუგიათ, რატომ ინგრევა ქვეყანაში აგრარული მეცნიერება.

ზევით მოცემული საკითხების განხორციელება საკმაოდ რთულია, რადგან მოითხოვს სამთავრობო და საპარლამენტო გადაწყვეტილებებს, აგრეთვე მიზნობრივ დაფინანსებას, რადგან აკადემიას ამის შესასრულებლად საჭირო თანხები არ გააჩნია.

**— რა ღონისძიებებს თვლით საჭიროდ, რათა თვითონ აკადემიაში გააქტიურდეს და უფრო მიზანმიმართული გახდეს მუშაობა?**

— აკადემიის მუშაობაში აკადემიკოსების და წევრ-კორესპონდენტების მეტი ჩართულობის მიზნით, ვაყალიბებთ სპეციალურ დარგობრივ ჯგუფებს (მეხილეობის, მევენახეობის, მემარცვლეობის, მეცხოველეობის და ასე შემდეგ, სულ გვექნება 10-12 ჯგუფი), სადაც გაერთიანდებიან ამ დარგის აკადემიკოსები (წევრ-კორესპონდენტები), აგრეთვე, მოწვეული ცნობილი სპეციალისტები (სამინისტროდან, უნივერსიტეტებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და სხვა.). ჯგუფების ხელმძღვანელებად — **ეროვნულ კოორდინატორებად** აკადემიიდან აირჩევიან ამ დარგის გამორჩეული სპეციალისტები. ეროვნულმა კოორდინატორმა, ჯგუფთან ერთად, უნდა მიიღოს ინფორმაცია ქვეყნის ყველა მოქმედი ორგანიზაციიდან (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა), გააანალიზოს დარგში არსებული მდგომარეობა, განსაზღვროს პრიორიტეტები და ის მიმართულებები, რაც აუცილებელია დარგის შემდგომი განვითარებისათვის. ამისათვის ის აწყობს სემინარებს, თათბირებს, „მრგვალ მაგიდას“, ამზადებს პრაქტიკულ წინადადებებს საბჭოს სხდომაზე განსახილველად, მათი სამინისტროში ან სხვა ზემდგომ ორგანიზაციაში წარსადგენად.

**უკვე დავიწყეთ მმართველობითი სისტემის გაუმჯობესება**. ამჟამად აკადემიაში ფუნქციონირებს აკადემიური საბჭო, რომლის ძირითადი ფუნქციაა ოპერატიული, ფინანსური და სამეცნიეროო საკითხების განხილვა. ვფიქრობთ, რომ აკადემიაში, იმ ცვლილებების განხორციელების შემდეგ, რაც ზევით მოგახსენეთ, საჭირო იქნება აკადემიური საბჭოს ფუნქციების გაყოფა. ჩვენ უკვე შევქმენით აკადემიის სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც გაერთიანდნენ აკადემიის წამყვანი მეცნიერები, ინსტიტუტების დირექტორები, ეროვნული კოორდინატორები, სამინისტროების და უწყებების წამყვანი სპეციალისტები და სხვა, რომლებიც ძირითადად განიხილავენ სამეცნიერო საკითხებს და მიიღებენ პრაქტიკულ რეკომენდაციებს კვლევის მიმართულებებიდან გამომდინარე, რაც ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებასთან იქნება დაკავშირებული.

**— ბატონო გურამ, რა ურთიერთობები აქვს აკადემიას საერთაშორისო ორგანიზაციებთან და როგორ აპირებთ ამ ურთიერთობების გაფართოებას?**

— ამჟამად გვაქვს ორმხრივი ხელშეკრულებები კვლევებზე ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა: „იკარდა“ (მშრალი რეგიონების აგრარული კვლევის ცენტრი, ქ. ალეპო, სირია), „სიმიტი“ (ხორბლის და სიმინდის სელექციის საერთაშორისო ცენტრი, ქ. მეხიკო, მექსიკა), „იკრისატი“ (ნახევრად მშრალი სუბტროპიკული რეგიონების კვლევის ცენტრი, ქ. პატაჩერუ, ინდოეთი), „ბიოვერსიტი“ (საერთაშორისო მცენარეთა გენეტიკური რესურსების ინსტიტუტი, ქ. რომი, იტალია), მცენარეთა გენეტიკური რესურსების ევროპის კოოპერირებული პროგრამა (ქ. რომი, იტალია), „კაკაარი“ (შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების ასოციაცია), ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, გერმანიის ბონის უნივერსიტეტი, რუსეთის ვავილოვის მემცენარეობის ინსტიტუტი, რომელთა ურთიერთობითაც ჩვენი სპეციალისტების მიერ შექმნილია ხორბლის, ქერის, სამარცვლე პარკოსნების, ბოსტნეული კულტურების და სხვათა ახალი ჯიშები და ჰიბრიდები. დამუშავებულია მათი მოვლა-მოყვანის ახალი ტექნოლოგიები და სხვა. ვფიქრობთ, ჩვენმა აკადემიამ კიდევ უფრო უნდა გააფართოოს ეს წრე და გააფორმოს ხელშეკრულებები რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიებთან, მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრთან (ტაივანი). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა მაშინ იქნება ეფექტური, თუ ჩვენ შევძლებთ დავიბრუნოთ აგრარული პროფილის კვლევითი ორგანიზაციები, სადაც უნდა მოხდეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული ჯიშების თუ ტექნოლოგიების აპრობირება ჩვენს ქვეყანაში.

**— დაბოლოს, ყველასთვის ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრთა ჰონორარი ძალზედ დაბალია, რას ფიქრობთ ამაზე ბატონო გურამ?**

— ამჟამად აკადემიკოსების და წევრ-კორესპონდენტების ჰონორარი ძალზედ დაბალია (800 და 500 ლარი). ისიც გაუგებარია, თუ რატომ უნდა ჰქონდეს ჩვენს აკადემიკოსს ეროვნული აკადემიის წევრის 50%. აქედან გამომდინარე, ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იქნება ძველი მოწვევის პარლამენტის ამ გადაწყვეტილების შეცვლა, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც ქვეყნის განვითარებისათვის სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად არის დასახული. ამავე პრობლემას უკავშირდება აკადემიის ნამდვილი წევრების არჩევნები. ამჟამად გვაქვს რამოდენიმე წევრის ვაკანსია, რომელთა შესავსებად გამოცხადდება კონკურსი. ამასთანავე, სწორად არ მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობით გვეკრძალება წევრ-კორესპონდენტების არჩევა, რაც აკადემიის გაახალგაზრდავებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გახდეს.

**სალომე კიკნაველიძე,**
**აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი**

◉ ალიან-ჩალიანი

## დედაუნივერსიტეტი შველას ითხოვს

**რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია თსუ-ში 2004-2012 წლებში მიმდინარე პროცესების შემსწავლელი კომისიის შექმნას მოითხოვს.**

**ამასთან დაკავშირებით „ქართული აკადემიის“, „საუნივერსიტეტო დარბაზისა“ და „სოლიდარობა განათლებული საქართველოს“ წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს.**

**როგორც „ქართული აკადემიის“ წარმომადგენელმა გოგი გოგოლაშვილმა განაცხადა, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მათ ჰქონდათ იმედი, რომ კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენა უნივერსიტეტებსაც შეეხებოდა, თუმცა, ეს პროცესი ჯერ არ დაწყებულა. მისი თქმით, შემაშფოთებელია ბოლო დროს თსუ-ში განხორციელებული მოვლენები. როგორც გოგოლაშვილი აცხადებს, ყოფილი რექტორი გიორგი ხუბუა არჩევნების შემდეგ ასოცირებულ პროფესორად აირჩიეს და უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ქართულ-გერმანული ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის ხელმძღვანელად დანიშნეს.**

**— მივმართავ საქართველოს პრემიერ-მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს — შეიქმნას კომპეტენტური კომ-**



**პლექსური კომისია, რომელიც შეისწავლის 2004-2012 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს, არსებულ კანონდარღვევებს, მათ შორის ფინანსურსაც და მოახდენს პოლიტიკურ და სამართლებრივ შეფასებას, — აღნიშნა გოგოლაშვილმა.**

**მისი თქმით, კომისიამ უნდა დასვას ყველა დამნაშავის სამართლებრივი თუ მორალური პასუხისმგებლობის საკითხი და უნივერსიტეტის გადარჩენის გეგმა შეიმუშაოს.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**შარშანდელი წლის მიწურულს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის მურმან ქურიძის წერილი, რომელშიც დასმული იყო კითხვა — შეიძლება, რომ ვაზისა და ღვინის ქვეყანაში, საქართველოში მებაღეობისა და მევენახეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი არ იყოს?**

სავსებით ვეთანხმები ბატონ მურმანს, მაგრამ მეც მინდა დავსვა რამდენიმე კითხვა:

**შეიძლება, რომ ვაზისა და ღვინის სამშობლოში, XXI საუკუნეში ვენახებს ზურგის აპარატით ვწამლავდეთ???**

**შეიძლება, რომ დღევანდელი პროგრესის ფონზე საქართველოში ვენახს საუკუნეების წინანდელივით, მამაპაპურად, ცხენით ვხნავდეთ?**

**შეიძლება, რომ მცირემიწიან ქვეყანაში ფართორიგიან ვენახებში, იკარგებოდეს 60 000 ჰექტარი მიწა, რაც 300 000 ტონა ხორბლის პოტენციური მოსავალია?**

**შეიძლება, რომ აღნიშნული პრობლემები გადაწყვეტილი ყოფილიყო გამოგონებით — „ვენახების გაშენება მაღალ-დაბალი „ფორმირებებით“ — რომლის გამოყენებითაც ტრაქტორი დაბალ რიგს „გადააბიჯებდა და ერთი გავლით ორ რიგს დაამუშავებდა, რითაც 50 პროცენტით შემცირდებოდა ტექნიკისა და საწვავის გამოყენება და მე, ამ გამოგონების ავტორის, მევენახეობის ს.კ. ინსტიტუტს 1990 წელს ხარისხის მაძიებლად არ გაავეფორმებინე? უფრო მეტიც, მევენახეობაში შექმნილი გამოგონებების დანერგვისთვის 8-ჯერ ვყოფილიყავი დაჯილდოებული ოქროს მედლებით, უმაღლესი საავტორო გასამრჯელოებით (პირველი, 20 000 მანეთი, ჩავრიცხე ჩერნობილის დახმარების ფონდში) და 30 წლის ასაკში მონიჭებული მქონდა საქართველოს დამსახურებული გამომგონებლის წოდება. ამისთანა სამეცნიერო საბჭო იყო არსებობის ღირსი?**

**შეიძლება, პროფესორს ვაზის უნიკალური ჯიში „ხიხვი“, რომელიც თამარ მეფისა და რუსთაველის ეპოქაში ჯანანურას სახელით იყო გავრცელებული, ხახვი ჰგონოდა?**

**იმასაც გკითხავთ, შეიძლება, რომ ვაზისა და ღვინის სამშობლოში მეხილეობისა და მევენახეობის ს.კ. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს ვაჟა კვალიაშვილს სასამართლოში ერთმანეთისაგან ვერ გაერჩია თხილი და რკო, რასაც ჰომერული ხარხარი მოჰყვა და მოსამართლე კოხრეიძეს მხარეების დასაწყნარებლად ჩაქუჩიც კი გაუტყდა (ამაზე ვრცლად ვწერდი 2008 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ №183)?**

**და კიდევ, შეიძლება, რომ ვაზისა და ღვინის სამშობლოში, მევენახეობის ინსტიტუტში დანერგილიყო... ბორდელები, მევენახეობის ინტენსიურ მიმართულებაზე მსჯელობა კი გამხდარიყო ინსტიტუტის დირექტორ ჩხარტიშვილის დაცინვის საგანი? შეიძლება დაცინვა იმ ინოვაციისა, რომლის განაცხადი №4662860 ჩაითვალა ორ გამოგონებად (№1664182; №1664183) და საჩუქრად გადავეცი საქართველოს პატენტები №245; №246)?**

უწინარესად ვინ, თუ არა ს.კ. ინსტიტუტის დირექტორმა, უნდა იცოდეს, რომ მცირემიწიანი ქვეყნის ინტერესები მოითხოვს ინტენსიფიკაციის თვალსაჩინო ძვრებს? მაღალ-დაბალ ფორმირებებს თუ შევადარებთ დღევანდელ 3-მეტრიან რიგთაშორისებიან ვენახებს, ანუ ექსტენსიურ გზას, და დავსვამთ კითხვას — ქვეყანაში, რომლის ტერიტორია 69.7 ათასი კვადრატული კილომეტრია და რომლის მხოლოდ 13 პროცენტია სავარგული, სულ ახლო წარსულში ვენახების ფართობი 1500 000 ჰექტარი ყოფილიყო, ამ ფართობიდან მიღებული ყურძენი კი 600 ათასი ტონა?

იმის უკეთ გასააზრებლად, თუ რა დიდი ეროვნული და ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭება ვენახების ახლებურად გაშენებას მაღალ-დაბალი ფორმირებებით, გკითხავთ:

**1. თავისუფალი მიწის რესურსები საქართველოში არის თუ არა ამჟამად ამოწურული?**

**2. ძალუძს თუ არა ქვეყანას მიწის დამატებითი მასივების გამონახვა?**

ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანი პირველ კითხვას უპასუხებს — **დიახ, ამოწურულია.**

არც მეორე კითხვაზე გაჭირდება პასუხი: **არა, ეს შეუძლებელია.**

და ამ პასუხების საფუძველზე კიდევ ერთი კითხვა:

**მაშ რა ვიღონოთ მიწის რესურსების გამოსაძებნად, გასადიდებლად?**

ცხადია, უნდა ვიფიქროთ მიწების გამოყენების ინტენსიფიკაციაზე, რაც მიწის ფართობების შეფარდებით გადიდებას ნიშნავს, რამაც უნდა განაპირობოს მევენახეობის აღორძინება და არა ს. კ. ინსტიტუტში ბორდელების(!) დანერგვამ!

ურიგო არ იქნება, დაბეჯითებით გავიმეორო — **ტექნიკისა და საწვავის 50 პროცენტით შემცირებას, 60 000 ჰა მიწას და მასზე მიღებულ 300 000 ტონა მარცვლეულის პოტენციურ მოსავალს თუ თანხაში გადავიანგარიშებთ, მივიღებთ ყოველწლიურად მილიარდი ლარის ეკონომიას.** და ეს მაშინ, როცა ჩვენი პატარა ქვეყნის ბიუჯეტი 8 მილიარდია!

მე-4 საუკუნეში მოღვაწე დიდი ბერძენი ფილოსოფოსის ანტისფენის სიტყვების — **„სახელმწიფოები იღუპებიან მხოლოდ მაშინ, როცა კარგ ადამიანებს ვერ არჩევენ ცუდისგან“,** — პერიფრაზირებით თუ ვიტყვით, **„ს. კ. ინსტიტუტები ნადგურდებიან მხოლოდ მაშინ, როცა იქ გამოგონებებს ვერ არჩევენ ფუყე დისერტაციებისგან“.** ამის მაგალითი კი ხსენებულ ინსტიტუტში უამრავია. ამის კლასიკური მაგალითია ის, რომ თითქმის 50 წელია, არ დაცულა მევენახეობაში სადოქტორო დისერტაცია და, რაღა თქმა უნდა, არც გვყავს 06.01.08. შიფრით მევენახეობის მეცნიერებათა დოქტორი და ამ დარგის აკადემიკოსი საქართველოში. **კატასტროფის ტოლფასია ისიც, რომ 2010 წელს ვაზისა და ღვინის საერთაშორისო კონგრესზე 23 ქვეყნიდან თბილისში ჩამოსული 3000 მეცნიერი მევენახეობაში სიახლეების ხილვის მაგივრად სიღნაღში აღმოჩნდა ყველის ფესტივალზე.**

ბატონო მურმან, რაც შეეხება თქვენს მიერ დასმულ კითხვას, **უნდა იყოს თუ არა ვაზის ქვეყანაში მევენახეობის ინსტიტუტი, სჯობდა, ზემოთ მოყვანილ პრობლემებზე პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან გემსჯელათ, მაშინ, როცა ბრძანდებოდით პარლამენტის წევრი და მერწმუნეთ, დღეს ამ კითხვის დასმა არ დაგჭირდებოდათ.**

წინამდებარე წერილის პათოსი ამოუხსნელ ამოცანად რომ არ დარჩეს, საჭიროა, გავეცნოთ „ვაკ-ის“ წერილს (მის ფოტოპირს აქვე გთავაზობთ) და ინტერნეტით ვიხილოთ საქართველოს მსგავსი პარამეტრების მქონე ქვეყნები და დავრწმუნდებით, რომ მამულის აღორძინებისთვის აუცილებელია ტრადიციული კონსერვატიზმის დაძლევა, წავახალისოთ მეწარმეობა და დავნერგოთ ინოვაციები, თუნდაც ავტორს არ ჰყავდეს გავლენიანი მფარველი. ამავდროულად საჭიროა, რომ პრეზიდენტმა ენერგიის მთელი მარაგი წარმართოს იმ დარგებზე, რომელთა განვითარებასაც უკავშირებს ქვეყანა თავის მომავალს. და რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, სააკაშვილმა ეს აქსიომა უკუღმა დაატრიალა.



# დარგს ყურადღება სჭირდება!

## 71-ე მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს

**ამიტომაც ვერ მივიღე ტენდერში გამარჯვებისთვის 16 000 ლარი და გამინადგურდა წლების მანძილზე ტანჯვა-წამებით აღდგენილი ვაზის 43 უნიკალური ჯიში. ასევე ვერ ავიღე იაფი სესხი — 50000 დოლარი, მიუხედავად იმისა** (მკითხველო არ გაგიკვირდეთ) რომ სააკაშვილს მივმართე 70-ჯერ, 6-ჯერ პირადად გადავეცი წერილი, 9-ჯერ პრესით მივმართე არა პირადი ინტერესების, არამედ საქართველოს საამაყო დარგის — მევენახეობის აღორძინებისთვის. იმიტომ კი არა, რომ ყვარელში „მიშას“ ვენახი ზურგის აპარატით აღარ შეეწამლა, არამედ იმიტომ, რომ **XXI საუკუნეში მევენახეები გათავისუფლდნენ მონური შრომისგან, ზურგის აპარატით ვაზის შეწამვლისგან და ცხენით ვენახების მოხვნისგან!** არის თუ არა ეს სიღრმისეული, ეროვნული და, არ გადავაჭარბებ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემა?!

ბატონო სააკაშვილო, ამჟამად მოგმართავთ 71-ედ, მაგრამ არა დასახმარებლად, არამედ იმისთვის, რომ შეგახსენოთ კონსტიტუციის 71-ე მუხლი — ინაუგურაციაზე ღვთისა და ერის წინაშე დადებული ფიცი გატეხეთ. **იმის ნაცვლად, რომ გეზრუნათ მოსახლეობის კეთილდღეობისა და მამულის აღორძინებისთვის, ენერგიის დიდი მარაგი შესწირეთ შადრევნების კეთებას და დახარჯეთ 12 მილიონი, მრავალსართულიანი სახლების აივანზე „ვენოკების“ ჩამოკიდებაზე — 14 მილიონი, მტკვარზე არაფრის მაქნისი შუშის ხიდზე — ათობით მილიონი, ანდრეა ბოჩელის ჩამოყვანაზე — 3 მილიონი, 4 მილიონი დაჯდა მიუზიკლი, „ქეთო და კოტე“, ბელტების მოჭრაზე დაიხარჯა 18 მილიონი, ავლაბრის რეზიდენციაზე — ერთი მილიარდი, (იქ ელექტროენერგიის ხარჯი თვეში მილიონია), მასაჟისტის ჩამოყვანაზე — 1 მილიონი... ამ ცხრა წლის განმავლობაში უგუნურად დახარჯეთ 2 მილიარდი. მაშინ, როცა შეგეძლოთ, მოგესპოთ სიღატაკე, რასაც მარტივად დაგიდასტურებთ. ეს 2 მილიარდი მრავალდარგოვანი ოჯახური მეურნეობის შესაქმნელად 4-წლიანი სესხებად რომ გაგენაწილებინათ 20-20 000 ლარით შეიქმნებოდა 100 000 გლეხური მეურნეობა.**

გლეხების უფრო მეტად ხელშეწყობის, წახალისების და სესხების სწრაფად ამოღების მიზნით კი გარდამავალ ეტაპზე გაგეტარებინათ **პროტექციონისტური პოლიტიკა სესხების ნატურით** — ხორცით, ბოსტნეულით დაფარვის გადასახადი, რომელთაც უხვად მოიხმარს ჯარი... (საქართველოში წარმოებულ მსგავს, შემოტანილ პროდუქციაზე კი დაგეწესებიათ მაღალი საბაჟო გადასახადი), დაბრუნებული სესხები კი მიმართულიყო მცირე ბიზნესზე ამდენივე ახალი ეროვნული მეურნეობის შესაქმნელად.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებასაც თუ გავითვალისწინებთ, სახელმწიფო წარმატებულად ვითარდება მხოლოდ მაშინ, როცა მისი ინტერესები ემთხვევა მოსახლეობის პირად ინტერესებს და გლეხური მეურნეობა ასაქმებს 3-4 კაცს, გონიერთათვის არასოდეს გახდება სადავო, რომ ეს იქნებოდა არა პანაცეა, არამედ წელში გამართული, დასაქმებული სულ მცირე 600 000 ადამიანი და უკან ამოღებული ის 2 მილიარდი, რომელიც დღეს გადაყრილია! ამ თანხას თქვენი „მოღვაწეობის“ დროს შემოსულ გრანტებს თუ დავუმატებდით და აღნიშნულს მასშტაბურად განახორციელებდით (უკვე გრანტის არსით), დაბეჯითებით უნდა ვივარაუდოთ, ფორსირებულად აღორძინდებოდა სოფლის მეურნეობა, სამარადისოდ დაამარცხებდით სიღარიბეს და უმუშევრობას. მეტიც, ფინანსები დახარჯეთ აღმაშენებლის ძეგლის აღებაში, რომელმაც 400 წლის მანძილზე მტრის ხელში მყოფი თბილისი ქართველებს დაუბრუნა. „ავი ენები“ იმასაც ამბობენ, პრეზიდენტმა ბებიის ვიზიტებზე ბიუჯეტის თანხები დახარჯაო.

თქვენმა უგუნურმა მოქმედებებმა შეავიწროვა საქართველოს საზღვრები, შელახა მთავარსარდლის სახელი, აბუჩად აიგდო კონსტიტუცია, იცრუეთ პენსიონერებთან, გაქცეულები და დაჭერილები არიან მინისტრები, შეგნებულად გაანადგურეთ სოფლის მეურნეობა, ვერ ეგუებით ინოვაციებს, გეუცხოებათ საქვეყნო ინტერესები... და გადააჭარბეთ პირუტყვის მხოლოდ მადით. შეიძლება პენსიებისა და 200-ლარიანი ხელფასების შედარება მაღალჩინოსან „ვარდოსნების“ წლიურ 100 და 200 000-ლარიან ჯამაგირებსა და პრემიებთან?

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, ერის ერთსულოვანი მოთხოვნით პარლამენტმა დაიწყოს იმპიჩმენტის პროცედურა. ამავდროულად, ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ იმსჯელოს, რომ კონსტიტუციის 71-ე მუხლს დაემატოს წინადადება — **იმპიჩმენტით გადაყენებულ პრეზიდენტს ჩამოერთვას ქონება, გაუუქმდეს შეღავათები და მომავალში ეწოდოს არა ექსპრეზიდენტი, არამედ კვაზი ან თუნდაც პარაზიტი პრეზიდენტი.**

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არ შერჩეს საპრეზიდენტო ვადის გახანგრძლივება, მეორე — ამომრჩევლის მოტყუება, მესამე — წლების მანძილზე ინტელიგენციის აუგად ხსენება, მეოთხე — გესლიანი სიცილი, და ყველამ გაიგოს, რომ **ქართველმა ქართველს შეიძლება დაღვრილი სისხლიც აპატიოს, მაგრამ სამშობლოს დამცირებას არავის შეარჩენს.**

ლოგიკის კარნახით, ახალი პრეზიდენტი ამჟამინდელის დარად უგუნურად არ მოიქცევა და უშურველად გაიღებს გააზრებულ, უზღვავ ენერგიას, რაც ჰაერივით სჭირდება ქვეყანას.

**თამაზ ქვლივიძე,**
საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი.
599-10-43-18




ინფორმაცია

## აჭარას ფინანსთა მინისტრი არ ჰყავს

**აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი გიორგი თავართქილაძე საკუთარი განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გადადგა. ამის შესახებ ინფორმაცია აჭარის მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნათია სირაბიძემ დაადასტურა. როგორც მან აღნიშნა, თავართქილაძის განცხადება გადადგომის თაობაზე აჭარის მთავრობამ დააკმაყოფილა.**

**ერთ-ერთი ვერსიით, გიორგი თავართქილაძის თანამდებობიდან გადადგომის მიზეზი გახდა მისი განცხადება, სადაც საუბარი იყო აჭარაში 40-მილიარდიანი ინვესტიციის შემოსვლის შესახებ.**

**გიორგი თავართქილაძე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრად 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაინიშნა. მანამდე ის „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯიას„ ბათუმის ფილიალის მმართველი იყო.**

**აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოვალეობას თავართქილაძის პირველი მოადგილე დავით ბალაძე ასრულებს.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## შეხვედრა — შეხვედრისათვის

**„კეკლუცობა ევროპასთან და კოჰაბიტაცია“, — ამ სიტყვებით ამკობდა ხალხის ერთი ნაწილი ივანიშვილი-სააკაშვილის შეხვედრას. „კოჰაბიტაციის მოყვარულთათვის იმართება შოუ. დასაწყისი 15 საათზე“, — გაიგონებდით შეხვედრის დასაწყისამდე. „ფართხალი და ზამთრის უკანასკნელი გაელვება, შეხვედრა შეხვედრისათვის... მიშას ჭკუა მოეკითხება?... ისეა გაბოროტებული, რაც საღი აზრი ჰქონდა შერჩენილი, ისიც გაეფანტა... და მრჩეველთა სასტავი ხომ, „რუსეთი ბუაა“-ს იქით ვერ აზროვნებს“...**



# ფრენა-ფრენიდან — „მაოხრებელ გზირობამდე“!..

შეხვედრა შეხვედრისათვის — პრემიერის ეს შეფასება გულზე მოხვდათ მიშას თავგადაკლულ ფანებს, არადა, რა თავსატეხი ეს შეხვედრა და მისი მიზნის „ამოხსნა“ იყო? სხვა თუ არაფერი, საკონსტიტუციო ცლილებებს მაინც „დავიჭერდით“... და დაე, ჰგონებოდა მავანს, რომ შეხვედრა უცხოელების დასანახავად იმართებოდა. თუმცა, პრემიერმა არაორდინარული მისალმებით პირდაპირ უთხრა: მიშა, შენი დრო ამოწურულიაო... და ისე აუარა გვერდი, ხელის ჩამორთმევის ღირსადაც არ ჩათვალა!

ყველას გვახსოვს მიშას დრო — პომპეზურობისა და ნაცარქექიობისა, „ტალახში ჩაფლულ ქვეყანაში“ როგორ კეთდებოდა თურმე ყველაფერი ხალხისათვის და ხალხის მიერ, რომელიც სასწაულებს ახდენდა ქვეყნის წინსვლისათვის, სოფლის მეურნეობის „წარმოუდგენლად განვითარებისთვის“ (მაშინ, როცა სოფლის მეურნეობის „წინსვლად“ უცხოელებზე გასხვისებული ქართული მიწები შეგვრჩა ხელთ)...

წავიდა შენი დროო... მაგრამ ვინ გაიგონა?... დაფრინავს და დაპრეზიდენტობს! თან დაგვძახის: ვრჩები პრეზიდენტის პოსტზე იმიტომ, რომ ვიმოქმედო ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნების პროცესებზეო. თურმე, მას არ სურს, რომ ქვეყანაში უწესრიგობა და ქაოსი იყოს... და, ამავდროულად, ეს მშვიდობის მტრედი აზერბაიჯანში „აბრეხვებს“ ზესიბრძნეს — საქართველოსა და აზერბაიჯანს რუსეთის მხრიდან რეალური დესტაბილიზაცია ემუქრებათო!.. და ოქტომბრამდე კიდევ რამდენჯერ დაგვაბოლებს, ვინ იცის?

სწორედ ამ და სხვა მსგავსი განცხადებების პასუხად იყო, რომ პრემიერმა განცხადება გაავრცელა და აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე პირადი პასუხისმგებლობით მოქმედებს. მისი ვიზიტები არ არის კოორდინირებული საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და მისი განცხადებები არ გამოხატავს საქართველოს მთავრობის პოზიციებს.

პრემიერის თქმით, საქართველოს მთავრობა ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დასაჩქარებლად ძალისხმევას აგრძელებს, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის ბოლოდროინდელი უპასუხისმგებლო განცხადებები და მოქმედებები ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის კურსს, ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟს ლახავს და პრობლემებს უქმნის ახალ ხელისუფლებასო.

ექსპერტ ხათუნა ლაგაზიძის შეფასებით, **პრემიერმა თქვა, რომ პრეზიდენტი საგარეო პოლიტიკური აქტივობით სულ მცირე უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ქვეყანას. უფრო მეტიც, რეალურ რისკებს დებს საგარეო პოლიტიკურ არეალზე... ფაქტობრივად, მთავრობა გაემიჯნა სააკაშვილის საგარეო პოლიტიკურ აქტივობებსო. ექსპერტის თქმით, მისი პრესტიჟი ჩემი, თქვენი და საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის პრესტიჟია, ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და მე ვისურვებდი, პრეზიდენტმა შეინარჩუნოს სახე და პრესტიჟი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთო („ნეტგაზეთი“).**

თუ ექსპერტების ერთ ნაწილს სასაცილოდ და ცინიზმად მიაჩნია სააკაშვილის მიერ მედიის თავისუფლებაზე, სასამართლოსა და პოლიტიკურ ზეწოლაზე საუბარი მისი ცხრაწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, სამაგიეროდ, მეორე ნაწილს ეს არ აშფოთებს. მეორე მხრივ, ექსპერტ ნიკა ჩიტაძეს სრულიად ადეკვატური ჰგონია პრეზიდენტის მხრიდან მისი პოზიციის გამოხატვა, რომ შეწყდეს ზეწოლა მედიაზე, სასამართლო ხელისუფლებაზე და ასევე ყოფილი ჩინოვნიკების დაბარება-დაკითხვაზე.

**„ის ფაქტი, რომ ეს პრობლემები პრეზიდენტის მიერ იყო გახმოვანებული, პრემიერი და მისი გუნდი გაგებით უნდა მოეკიდოს. მეორე მხრივ, სამწუხაროა, რომ ბიძინა ივანიშვილმა ამ შეხვედრას უწოდა შეხვედრა შეხვედრისთვის. თუმცა, კარგია, რომ პრემიერმა გამოთქვა მზადყოფნა მომავალი შეხვედრებისთვის“,** — განუცხადა ნიკა ჩიტაძემ „ნეტგაზეთს“.

**მაგრამ ექსპერტს არ გახსენებია, რომ სასამართლო, ბოლოს და ბოლოს, უნდა გათავისუფლდეს სააკაშვილისა და კუბლაშვილის ზეწოლისგან და უნდა დამთავრდეს ჯიბის სასამართლოს ეპოქა, მოსამართლეები უნდა გათავისუფლდნენ, იუსტიციის საბჭოში უნდა აირჩიონ ისინი, ვისაც ღირსეულად მიიჩნევენ. და რომ გამოსაძიებელია ყველა იმ ტელევიზიის საქმე, რომელიც დახურა სააკაშვილმა...**

**და რომ მართლაც, არ არის გამორიცხული, „ნაციონალური მოძრაობის“ რადიკალურმა ფრთამ, ყოფილი ხელისუფლების ერთგული საჯარო მოხელეების, სასამართლოსა და კონტროლირებადი მედიის დახმარებით ხელი შეუშალოს მთავრობის საქმიანობას, ხელოვნურად გამოიწვიოს ხალხის უკმაყოფილება და მოამზადოს ნიადაგი იმ ავტორიტარული საკონსტიტუციო მუხლის ამოქმედებისთვის, რომელიც გამოიწვევს „ნაცმოძრაობის“ მიერ უკანონოდ ხელისუფლების მიტაცებას. აკი განაცხადა ეკა ბესელიამ, რომ საბოტაჟის მიზანია, აპრილში ამოქმედდეს კონსტიტუციის ის ნორმა, რაც გულისხმობს პრეზიდენტის უფლებას, დაითხოვოს ხალხის მიერ არჩეული მთავრობაო!**

**ბიძინა ივანიშვილს ეს შეხვედრა წინსვლად არ შეუფასებია, — კონსტრუქციული საუბარი არ გამოვიდა, თუმცა, ძალიან ვცდილობდი კონსტრუქციულ რელსებზე გადაყვანას არსებითი პრობლემების მოსაგვარებლადო,** — დასძინა მან.

მაგრამ ის, რომ პრეზიდენტი, ასე თუ ისე, იოლად „ველარ გაბედავს“ მთავრობის დათხოვნას, ასევე, ივანიშვილის მიერ პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკურ გამოსვლებთან დაკავშირებული განცხადება შეხვედრის დადებით გარემოებაზე მეტყველებს, თუმცა...

**ისევ რჩება... ვადაგასულის ვოიაჟები და „დიდებულ“ აზრთა ფრქვევა ხალხის დასაბოლებლად! უკვდავი ტერმინის — „კოჰაბიტაციის“ ჩვენს რეალობაში მყარად დასამკვიდრებლად... მტრის გულის გასახეთქად და მოყვრის თვალის გასახარად! მას და მის ხროვას საქართველოში სურთ საბოტაჟი, მუქარა და არეულობაო!... — მაინც ბევრი ასე ფიქრობს.**

ეს არის ღვთის რისხვა და დიდი განსაცდელი... ეს არის სულხან-საბას მაოხრებელი გზირიო! — სჯერა ხალხს.

და, სამწუხაროდ, გაზაფხულის მოსვლასთან ერთად, ქართველ კაცს, უამრავ სხვა პრობლემასთან ერთად, მაოხრებელი გზირის პრობლემაც დააწვა კისერზე...

**თამარ შაიშმელაშვილი**

## რის ზეწოლაო, აცხადებენ!

# „რუსთავი-2“-ის პროდიუსერს სააკაშვილისთვის არ მოუსმენია

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე სამი კონკრეტული საკითხი დააყენა.** ამის შესახებ სააკაშვილმა შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, ამ საკითხებს შორის ერთ-ერთი თავისუფალ მედიაზე ზეწოლის შეჩერება იყო.

**„თქვენ იცით, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით სხვადასხვა პროცესები მიმდინარეობს. იყო მუქარები „რუსთავი-2“-ისა და სხვა ტელევიზიების მიმართაც. იყო შემთხვევები, როდესაც ტელეარხები დაიხურა, მეპატრონეები გამოიცვალნენ და ა.შ. ფაქტია, რომ მედიის მიმართულებით პოლიტიკური კონტროლის დამყარების გეგმაზომიერი კამპანია მიმდინარეობს. ქვეყანაში იქნება როგორც ერთი, ისე მეორე სახის მედია. ჩვენ მთავარია, მივაღწიოთ, რომ იყოს პლურალიზმი და არავის არ ჰქონდეს მთელი მედიის გაკონტროლების საშუალება. ქვეყანაში ალტერნატიული აზრი და ოპოზიცია უნდა იყოს. ამაზე ყველანი უნდა შევთანხმდეთ და ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საკითხია შემდეგი — რა თქმა უნდა, სისხლის სამართლებრივი დევნისგან იმუნიტეტი არავის აქვს, არც პრეზიდენტს, არც მერებს, არც პარლამენტის წევრებს, ეს ყველაფერი კანონითაა დარეგულირებული“,** — განაცხადა პრეზიდენტმა.

იმის გასარკვევად, თუ რა სახის ზეწოლას განიცდიან მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩამოთვლილი მედიასაშუალებები, **for.ge** რამდენიმე მათგანს დაუკავშირდა. ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ პრეზიდენტის განცხადება არ მოუსმენია, მაგრამ ვარაუდობს, რომ სააკაშვილი „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით არხის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას და დასაკითხად მის დაბარებას გულისხმობდა.

**„როგორც ვიცი, პრეზიდენტმა „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ ისაუბრა. რაც შეეხება „რუსთავი-2“-ს, ალბათ, მან ის იგულისხმა, რომ ჩვენი გენერალური დირექტორის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ალბათ, ასევე, ის ბოლო აქცია იგულისხმა, რომელიც ჩვენი ტელეკომპანიის წინ რამდენიმე დღის წინათ მოეწყო. თუმცა, არ ვიქნები ზუსტი ამაზე საუბრისას, რადგან თავად პრეზიდენტის განცხადება არ მომისმენია“,** — აცხადებს ნანა ინწკირველი.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერმა მაკა გაფრინდაშვილმა **for.ge**-სთან საუბარში განაცხადა, რომ არც წინა და არც ახალი ხელისუფლების მხრიდან არანაირი ზეწოლა არასოდეს უგრძნია.

**„ჯერჯერობით, ჩემს პრაქტიკაში, არც ერთი ხელისუფლების მხრიდან ჩემს ტელეფონზე არანაირი ზარი არ ყოფილა. თუ ასეთი რამ მოხდება, მე აუცილებლად გამოვალ და ღიად ვისაუბრებ ამაზე“,** — ამბობს მაკა გაფრინდაშვილი.

**for.ge**-ს კითხვაზე — მაშინ, რას გულისხმობდა მიხეილ სააკაშვილი, როდესაც საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა, მაკა გაფრინდაშვილი პასუხობს, რომ პრეზიდენტს ჟურნალისტებმა კონკრეტული კითხვა დაუსვეს და მან ამ კითხვას უპასუხა.

**ამდენად, პრეზიდენტის მიერ ნახსენები მედიასაშუალებების წარმომადგენლები მათზე ახალი ხელისუფლების მხრიდან რაიმე სახის ზეწოლას არ ადასტურებენ. რაზე დაყრდნობით აკეთებს მედიაზე ზეწოლასთან დაკავშირებით განცხადებებს ქვეყნის პრეზიდენტი? მისგან ტყუილები არაერთხელ მოგვისმენია, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში მიხეილ სააკაშვილი უკვე ისეთ აშკარა ტყუილებსაც არ ერიდება, რომელთა გამოც შემდეგ ბოდიშის მოხდაც კი უწევს. კერძოდ, შეგახსენებთ, ზუსტად ერთი კვირის წინათ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ქართული საბანკო სექტორით რუსული სპეცსამსახურები დაინტერესდნენ, რუსულმა სახელმწიფო კომპანიებმა უკვე რამდენიმე ქართული ბანკი შეიძინეს, დანარჩენებთან დაკავშირებით კი მოლაპარაკებები მიმდინარეობსო.**

მის ამ განცხადებას მის მიერ დასახელებული ბანკები მაშინვე გამოეხმაურნენ. ამგვარი გარიგებების რეალობა უარყვეს როგორც ქართულმა, ასევე სააკაშვილის მიერ დასახელებულმა რუსულმა ბანკებმა. მოგვიანებით, არასწორი ინფორმაციის გავრცელების გამო სააკაშვილს ბოდიშის მოხდაც კი მოუწია.

**„ნამდვილად ვიცი, რომ ერთ-ერთი ჩემ მიერ დასახელებული ბანკი მოლაპარაკებას აწარმოებს ერთ-ერთ მსხვილ რუსულ ბანკთან. ეს ასეა და ისინი ამას არ უარყოფენ, მაგრამ თუ ბანკები არასწორად დავასახელე, ეს უნებურად მომივიდა და ნამდვილად არ მინდოდა ბანკებისთვის რამე პრობლემა შემექმნა. ჩემი სურვილია, რომ საბანკო სექტორი საქართველოში იყოს ძლიერი და დამოუკიდებელი. დიდი ყურადღებით დავაკვირდები, რომ ის მართლა არ ჩაუვარდეს ხელში ერთი ქვეყნის სახელმწიფო ბანკებს, იმ ქვეყნისა, რომელსაც საქართველოს მიმართ სრულიად არაჯანსაღი ინტერესი აქვს“,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა აეროპორტში, აზერბაიჯანში წასვლის წინ.

გამოდის, რომ ან პრეზიდენტს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ვინმე შეგნებულად აწვდის არასწორ ინფორმაციას, ან ის საუბრობს იმას, რაც აწყობს, უფრო სწორად, რაც საერთაშორისო თანამეგობრობაზე არის გათვლილი და ჩვენს დასავლელ პარტნიორებს შეუქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს საქართველოს ახალი ხელისუფლება დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლას ცდილობს. სავარაუდოდ, მეორე ვერსია სიმართლესთან უფრო ახლოს არის, რადგან პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ, პრემიერმა ივანიშვილმაც განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილს მოუწოდა, მხოლოდ დასავლეთისთვის საუბარს თავი დაანებოს.

იხ. 9 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

⦿ აწმყო და პერსპექტივა

# საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერი კიდევ უფრო დაშორდნენ ერთმანეთს

**თბილისში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და პრემიერ ბიძინა ივანიშვილს შორის გაიმართა მოლაპარაკება საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით. პრემიერს იმედი ჰქონდა მიეღო სახელმწიფოს მეთაურისგან იმის გარანტიები, რომ მისი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მარტის ბოლოს მისცემს ხმას საკონსტიტუციო რეფორმას, რომელიც ამცირებს პრეზიდენტის უფლებამოსილებებს. მაგრამ მიხეილ სააკაშვილმა თავისი თანხმობის პირობად დააყენა მისი გუნდის ყველა წევრის სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტა. შედეგად მხარეებმა ვერ მიაღწიეს კომპრომისს. ამ სიტუაციაში ოპოზიციას ეშინია რეპრესიებისა ხელისუფლების მხრიდან, რომელსაც არ ჰყოფნის რამდენიმე ხმა იმ კონსტიტუციურ უმრავლესობამდე, რაც საჭიროა რეფორმის მიღებისთვის.**

**მიხეილ სააკაშვილმა და ბიძინა ივანიშვილმა ვერ მოილაპარაკეს საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ**

პრეზიდენტი და პრემიერი დიდხანს ვერ თანხმდებოდნენ გადამწყვეტი მოლაპარაკების ადგილის შესახებ. მიხეილ სააკაშვილს არ სურდა, მისულიყო პრემიერის რეზიდენციაში, ბიძინა ივანიშვილმა კი უარი განაცხადა მისულიყო პრეზიდენტის სასახლეში ავლაბარში. მანამდე ისინი მხოლოდ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს: არჩევნების შემდეგ შარშან 1 ოქტომბერს, და საზეიმო მიღებაზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის ილია II-ის იუბილესთან დაკავშირებით იანვარში.

შედეგად პრეზიდენტი და პრემიერი შეთანხმდნენ, რომ მათი მესამე შეხვედრა გაიმართება მთავრობის შენობაში მხოლოდ იმ კაბინეტში, რომელიც პრეზიდენტს ეკავა ავლაბარში თავისი სასახლის მშენებლობის დამთავრებამდე. 2008 წლის გაზაფხულიდან ეს კაბინეტი დაკეტილი იყო.

ჟურნალისტებს ნება მისცეს დაეფიქსირებინათ ორი ლიდერის ცივი ხელის ჩამორთმევა, რის შემდეგაც საუბარი საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ მიმდინარეობდა დახურულ კარს მიღმა. პრემიერი მოითხოვდა ძირითად კანონში ისეთი ცვლილებების შეტანას, რომელთა თანახმადაც პრეზიდენტს ჩამოერთმევა შესაძლებლობა, ჩამოაყალიბოს მთავრობა პარლამენტთან შეთანხმების გარეშე. მოქმედი ნორმის თანახმად, სახელმწიფოს მეთაურს შეუძლია გადააყენოს კაბინეტი და დაითხოვოს პარლამენტი, რიგგარეშე არჩევნებამდე ჩამოაყალიბოს თავისი მთავრობა საკანონმდებლო ორგანოსთან შეუთანხმებლად.



მმართველ კოალიციას „ქართულ ოცნებას" ეშინია, რომ მიხეილ სააკაშვილი გამოიყენებს ამ უფლებას აპრილში, როდესაც გადის ნახევარი წელი პარლამენტის არჩევნებიდან. საფრთხეს აღვივებს საპრეზიდენტო პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გადაწყვეტილება — თბილისის ცენტრში, რუსთაველის პროსპექტზე, სადაც იმართებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში, 19 აპრილს გამართოს საერთოეროვნული მიტინგი.

ამ დღეებში ბიძინა ივანიშვილმა ულტიმატური ფორმით გააფრთხილა პრეზიდენტი: კენჭისყრა საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით გაიმართება მარტის ბოლოს ნებისმიერ შემთხვევაში. „ჩვენ გვაქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა — სადეპუტატო ხმების ორი მესამედი, ესე იგი, 100 ხმა 150-დან", — განაცხადა მმართველი კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა კობა დავითაშვილმა.

ოპოზიციას ეშინია, რომ ხმებს, რომელიც არ არის საკმარისი საკონსტიტუციო უმრავლესობამდე, ხელისუფლება მოაგროვებს რეპრესიებისა და დაშინების გზით დეპუტატებისა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან". „პროკურატურა იყენებს ხელების გადაგრეხის მეთოდს, არ ერიდება დაკითხვაზე პარლამენტის წევრების გამოძახებასაც კი. ასეთი გაუგონარი მეთოდებით ცდილობენ, ისინი შეაგროვონ ხმების აუცილებელი ოდენობა", — განაცხადა დეპუტატმა საპრეზიდენტო პარტიიდან დავით დარჩიაშვილმა.

პრემიერთან საუბრის დამთავრების შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა აღიარა, რომ შეხვედრა იყო რთული, თუმცა, საინტერესო. „ივანიშვილთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა ჩვენს მიდგომებში ფუნდამენტური სხვაობის გათვალისწინებით", — შენიშნა პრეზიდენტმა, რომელმაც თავი აარიდა მოლაპარაკების შედეგების შეფასებას. მან დაადასტურა, რომ არ აქვს განზრახული დაითხოვოს მთავრობა ან პარლამენტი. „მე ვუთხარი ივანიშვილს, რომ ამ თვალსაზრისით მას არაფერი ემუქრება", — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა. პრემიერმა თავი შეიკავა კომენტარებისგან.

ერთ-ერთი გაზეთის მონაცემებით, მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო, ვინაიდან საკონსტიტუციო რეფორმის მხარდაჭერის სანაცვლოდ მიხეილ სააკაშვილმა მოითხოვა თავისი გუნდის ყველა წევრის სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტა. თუმცა, მმართველ კოალიციას არ შეუძლია ამას დაეთანხმოს. „ჩვენ მივდიოდით არჩევნებზე სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით, სამართალდაცვისა და დამნაშავეთა დასჯის გარეშე კი სამართლიანობა არ არსებობს", — განაცხადა „ქართული ოცნების" ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ.

სხვათა შორის, მხარეებმა მოილაპარაკეს გააგრძელონ კონსულტაციები მარტის ბოლომდე, როდესაც პარლამენტში გაიმართება კენჭისყრა საკონსტიტუციო რეფორმებთან დაკავშირებით.

BBC RUSSIAN.com

# ქართული ღვინოები რუსეთში შედის კონტრაბანდით ბელარუსიდან

**საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციის ბაზარზე ქართული ღვინოებისა და მინერალური წყლების დაბრუნების შესახებ. თუმცა, დღესაც, მაგალითად, მოსკოველებისთვის არ არის პრობლემა შეუკვეთონ ინტერნეტ მაღაზიაში ერთი ბოთლი „ქინძმარაული" ან იყიდონ „ბორჯომი" უახლოეს სავაჭრო ცენტრში. როგორ ხვდება აკრძალული საქონელი რუსეთის ფედერაციაში? ბელარუსის მეშვეობით.**




ამის შესახებ ტელეარხ „მირთან" ინტერვიუში ისაუბრა რუსეთის ფედერაციის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ.

ჩინოვნიკის სიტყვებით, „ყველაზე მეტად ხულიგნობს, ჩვენ ამას ასე ვუწოდებთ, ბელარუსი. როდესაც შემოაქვთ თავიანთ ტერიტორიაზე, ისინი ახდენენ რუსეთში რეტრანსლაციას არა მხოლოდ მინერალური წყლისა, არამედ ღვინისაც... ჩვენ ჯერჯერობით ამას ვითმენთ. მაგრამ მთელი პერიოდი, სანამ მოქმედებდა აკრძალვა, მოსკოვში დრაგომიროვის ბაზარზე იყიდებოდა ყოველივე ეს, ჩვენ ამის შესახებ ვიცოდით".

ონიშჩენკომ სიტუაციას „წვრილმანი ფუსფუსი" უწოდა, რომელთანაც მას არანაირი ურთიერთობა არ გააჩნია. „აი, შეიძლება გაყიდო ერთი ყუთი, ათი, — თქვა მან. — მერე რა? განა ეს ეკონომიკური ურთიერთობაა?"

შეგახსენებთ, რომ 2006 წლის გაზაფხულზე რუსეთში გაჩაღდა ეგრეთ წოდებული „ღვინის სკანდალი". გაყიდვიდან ამოიღეს მილიონობით ლიტრი ღვინო საქართველოდან და მოლდოვიდან, რისი საბაბიც გახდა რუსეთის ფედერაციის მთავარი სანიტარიული ექიმის გენადი ონიშჩენკოს განცხადება იმის შესახებ, რომ ღვინო არ შეესაბამება სტანდარტებს პესტიციდების, ტოქსინებისა და კონსერვანტების შემცველობით. 2006 წლის 27 მარტს რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის მითითებით მთლიანად აიკრძალა რუსეთში ღვინისა და ღვინომასალების შემოტანა და გაყიდვა საქართველოდან და მოლდოვადან.

სკანდალს აშკარა პოლიტიკური სარჩული ჰქონდა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განაცხადა, რომ ზარალი ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ათობით მილიონ დოლარს შეადგენს. ბოთლებში ჩამოსხმულ ქართულ ღვინოს ეკავა რუსეთის ბაზრის დაახლოებით 10 პროცენტი. რუსეთში იგზავნებოდა საქართველოს მიერ ექსპორტირებული ღვინის დაახლოებით 80 პროცენტი. იმავე წლის 4 მაისს ონიშჩენკომ სრულად აკრძალა რუსეთის ტერიტორიაზე მინერალური წყლის „ბორჯომის" შემოტანა და გაყიდვა. „ბორჯომის" ექსპორტის 35 პროცენტი რუსეთზე მოდიოდა.

2012 წლის 1 ოქტომბერს პარლამენტის არჩევნებზე მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის კოალიციის „ქართული ოცნების" გამარჯვებით მნიშვნელოვნად დათბა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანიც. მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოს საქართველოში ჩავიდა რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ექვსი სპეციალისტი მიზნით — შეესწავლათ საკითხი ადგილობრივი ღვინისა და მინერალური წყლების რუსეთის ბაზარზე დაბრუნების შესაძლებლობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის შედეგებთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე ბელარუსის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსმა ვლადიმირ ორლოვსკიმ განაცხადა, რომ უკანასკნელ წლებში პრობლემა ალკოჰოლის კონტრაბანდასთან დაკავშირებით ბელარუსის საზღვრის გავლით მწვავედ არ დგას. ჩინოვნიკის სიტყვებით, პრობლემები უკვე პრაქტიკულად არ არის დაახლოებით ოთხი წელიწადია.

ყველაფერი იმის გამო, რომ ონიშჩენკო ჯერჯერობით ამას ითმენს?

БЕЛОРУССКИЕ НОВОСТИ

## დედამიწის ზურგზე



**ჩინეთი მეზობლებს აშინებს: არმია ახლოსაა „ისტორიული მისიის" შესასრულებლად, სამხედრო ბიუჯეტი კვლავ გაიზარდა**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა კვლავ მეორე ადგილზეა თავდაცვის ხარჯებით ქვეყნების რეიტინგში, ჩამორჩება მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს. ყველაფერი დანარჩენიც კარგად მიდის: საშინაო მთლიანი პროდუქცია იზრდება, რეფორმები გრძელდება, დიპლომატები შრომობენ, და საერთოდ, სახალხო ინტერესები ძველებურად პირველ ადგილზეა. იდეოლოგიაც უცვლელია — პეკინში არ სურთ გაიმეორონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შეცდომები.

* * *

**თეთრმა სახლმა უპასუხა კალათბურთელ როდმანის განცხადებას: ობამა არ დაურეკავს კიმ ჩენ ინს**



„იმის ნაცვლად, რომ დახარჯოს ფული სპორტულ ღონისძიებებზე ვარსკვლავების მონაწილეობით და გაართოს ელიტის წარმომადგენლები, ჩრდილოეთი კორეის რეჟიმი უნდა დაფიქრდეს უბრალო ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, რომელიც შიმშილობს, არ აქვს ძირითადი უფლებები და არ არის თავისუფალი", — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ჯეი კარნიმ.

* * *

**სენეგალში მუსლიმანურ სკოლაში ხანძრის დროს 9 ბავშვი დაიღუპა**



ცეცხლი გავრცელდა მაშინ, როდესაც 6-დან 12 წლამდე 45 ბავშვს ეძინა ხისკედლებიან პატარა ოთახში. მიაჩნიათ, რომ ხანძრის მიზეზი გახდა სანთლის ალი.

* * *

**გაეროში ამერიკელმა დიპლომატმა მოუწოდა კოლეგებს არ ილოთონ მოლაპარაკების დროს**

პრეტენზიებს უნიადაგოს ძნელად რომ უწოდებ: გასულ დეკემბერში კორექტირებულ ბიუჯეტზე მუშაობის ორგანიზაციამ არაჩვეულებრივად დიდი დრო დაიკავა. კომიტეტის ზოგიერთი წევრი ზედმეტად „ერთობოდა" მრავალრიცხოვანი სადღესასწაულო მიღებების სტუმრობით და ცხადდებოდა თათბირზე სამუშაოსთვის ნაკლებად შესაფერისი სახით.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ამერიკელებს უფლება აქვთ, სულელები იყვნენ — ასეთი განცხადება გააკეთა ამას წინათ ბერლინში ვიზიტად მყოფმა ამერიკის ახალმა სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ. მაღალინტელექტუალურ ევროპაში აშშ-ის პირველი დიპლომატის პირისგან ამის თქმა შეიძლება ბევრს ეუცნაუროს კიდეც, მაგრამ თავად კერი ამის მიზეზად საკუთარი ქვეყნის ადამიანთა სუვერენული თავისუფლება დაასახელა. „ამერიკაში თქვენ გაქვთ უფლება, — უთხრა მან გერმანელ სტუდენტებს, — განერიდოთ ვისაც გინდათ, თუკი ამის სურვილი გექნებათ. თქვენ გაქვთ უფლება, იყოთ სულელი, თუკი ეს გინდათ“.**

ვერ გეტყვით, ამერიკის სახელმწიფო მდივნის ეს ულტრაორიგინალური აზრი საქართველოში როგორ შეაფასეს, მაგრამ მე პირადად ამ გამონათქვამიდან, არ დაგიმალავთ და, რაღაც-რაღაცები ერთგვარად მენიშნა კიდეც. მენიშნა კი არა, გუმანი მაშინვე მიხეილ სააკაშვილის არაორდინალური ქმედებებისა და უსაქციელო საქციელისკენ გამექცა, რასაც ხშირად ჩვენში სისულელედაც კი აღიქვამენ. ჰოდა, სრულიად ბუნებრივად გავიფიქრე, თუკი ამერიკელებს აქვთ უფლება, სულელები იყვნენ, ჩვენთვის ქარიზმა და ჩაუქა პრეზიდენტს, რომელმაც თავისივე თქმით, სწავლა-განათლება ამერიკაში მიიღო, სისულელეების ქმნის უფლება რატომ უნდა ჩამოვართვათ(?!).

რა თქმა უნდა, ყველა სისულელეს, რაც კი სააკაშვილს პრეზიდენტობის პერიოდში ჩაუდენია, დაწყებული საქართველოს ტერიტორიების დაკარგვით, არჩევნების გაყალბებით, ხელისუფლების უზურპაციით, განსხვავებული აზრის მქონეთა ციხეებში გამომწყვდევა-წამებით დამთავრებული, მარტო სისულელედ ვერ ჩავთვლით (ისინი დანაშაულის ტოლფასია), მაგრამ ალბათ თავად ჩავიდენდით დანაშაულს, თუ ამ სისულელეთა საერთო ნუსხაში პრეზიდენტის ცალკეულ, გამორჩეულად ორიგინალურ და ფენომენალურ უნარ-ჩვევებს არ გამოვყოფდით. ასეთთა შორის უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ მისი მორბენალ-სპრინტერობა, რომლითაც სააკაშვილი ასერიგად გამორჩეულია მსოფლიო ქვეყნების სხვა პირველ პირთაგან. სხვას რომ თავი გავანებოთ, ყველას გვინახავს, უცხოელები როგორი თავგამოდებითა და ენთუზიაზმით ცდილობენ ხოლმე ოფიციალურ შეხვედრებზე სირაქლემას ნაბიჯებით მორბენალი მიშას დაწევას (რომ აღარაფერი ვთქვათ გასწრებაზე), მაგრამ არა და არ გამოსდით და, ალბათ, არც როდესმე გამოუვათ იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ონავარი ბიჭის სიანცე და სპორტული სიჩაუქე ჩვენი პრეზიდენტისათვის დედის მუცლიდან თანდაყოლილი თვისებებია, რომელთა მეშვეობითაც მიშას დაჯაბნვით არა თუ უცხოელი კოლეგები, ნაცების ერთიანი გუნდის შინაური ყოჩებიც ვერ დაიკვეხნიან.

ფაქტები მიჭირავს ხელთ, ბატონებო, და მიშას მთელ დუნიაზე გამორჩეული უნარ-ჩვევების გამო სიამაყით ამიტომ გეტრაბახებით. ამას წინათაც ვიხსენებდი ერთ ჩემს პუბლიკაციაში, სააკაშვილმა ჯერ კიდევ მაშინ, როცა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ მუშაობდა, როგორი სიმკვირცხლით დააღწია თავი ახალგორში მარგილებით გამოკიდებულ იქაურ ამომრჩევლებს, მაშინ როდესაც ვანო მერაბიშვილს იოლად დაეწივნენ და კარგა მაგრად მიბეგვეს. ცხინვალის რეგიონიდან კუდამოძუებული სააკაშვილი 2008 წელსაც ვნახეთ, მაგრამ ამჯერად უკვე არა საარჩევნო კამპანიიდან, არამედ რუსეთ-საქართველოს ომიდან ქუდმოგლეჯით გამოქცეული ქვეყნის პრეზიდენტი და მთავარსარდალი.

მას შემდეგ, როგორც მეისტორიენი იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მორბენალი და მფრთხალი პრეზიდენტის საგმირო საქმენი ერთგვარად დავიწყებას მიეცა, თუმცა პოლიტიკურ მინდორზე უცაბედად შემოვარდნილმა ახალმა საჯილდაო მუხტმა, ევროპელთაგან დემოკრატიის მეტრად მონათლულმა ეგრეთ წოდებულმა კოჰაბიტაციამ, მოქმედ ხელისუფალთა და ოპოზიციონერ ნაციონალთა შორის ისეთი ჩორთი ჩამოაგდო, რომ ისინი ურთიერთმოსურნე თანაცხოვრებისა და თანაარსებობის ნაცვლად ურთიერთმოქიშპე მტრებად აქცია. აქ, რა თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი ძალით იფეთქა ონავარი პრეზიდენტის შემოქმედებითმა ნიჭმა. მას ადრეც უყვარდა მოგზაურობა და ქარის წისქვილებთან შებმა, ერთთავად ღრუბლებთან ჭიდილში იყო და ახლა მით უმეტეს, უსაქმურობისგან სულ აიშვა თავი, დღედაღამ თვითმფრინავში ან ავტომობილშია ჩაფრენილი და ზევით-ქვევით დარბის უფუნქციოდ. ამ დროს მისი ყოველი გადაადგილება თურმე 50 ათასი ლარი უჯდება მისივე უნიათო მმართველობით გაძვალტყავებულ საქართველოს.

# პრეზიდენტი გაგვებუტა!

## რა უჯდება ქვეყანას სააკაშვილის ხუშტურები?

ბევრი იფიქრებს, რაში ხარჯავს ამდენს ეს კაიდედმამიშვილი, როცა ქვეყანა ასეთ გაჭირვებაშია, პრეზიდენტმა ცოტა ტვინი ხომ უნდა გაანძრიოსო. რა თქმა უნდა, როცა საქმე განძრევასა და გადარბენას შეეხება, მიშას სამდურავს როგორ შევბედავთ, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო ნამუსის შეგდებაზეა ლაპარაკი. **ისეთ პატარა და ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, როცა პრეზიდენტის დაცვას 2850 თანამშრომელი ემსახურება და ბიუჯეტიდან მარტო ამ საქმეზე 42 მილიონი ლარი იხარჯება, ვინმემ ნამუსის ქუდზე ხომ უნდა წაივლოს ხელი?** ამის სურვილი ახალმა ხელისუფლებამ გამოთქვა და პრეზიდენტს დაცვა 350 ადამიანით, ხოლო ხარჯი 7 მილიონი ლარით განუსაზღვრა, მაგრამ სააკაშვილმა „მცირე ხარჯი“ იუკადრისა და 1000-კაციანი ამალა და 20 მილიონი ლარი მოითხოვა. ეს მაშინ, როცა ბალტიისპირეთის ქვეყნებში, კერძოდ, სააკაშვილის მეგობარი ესტონეთის პრეზიდენტის პირადი დაცვის სამსახური 57 ადამიანისგან შედგება, ხოლო ლიტვასა და ლატვიაში მათი რიცხვი 300-ს არ აღემატება. საინტერესოა, რა ისეთი საგანძური და ოქროს საბადოა სააკაშვილი საქართველოსათვის, რომ მის დაცვას 1000 კაცზე ნაკლები არ უნდა ემსახურებოდეს?

პრეზიდენტის დამცველთა ამ რაოდენობას ერთი კაციც, ხოლო სახარჯო 20 მილიონს კაპიკიც ვერ მოაკლდებაო, განაცხადა სააკაშვილის დაცვის სამსახურის ყოფილმა უფროსმა თემურ ჯანაშიამ და არგუმენტად დღის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტების ულევი რაოდენობა, გაზრდილი რისკები და მოსახლეობის მხრიდან მძაფრი აგრესია დაასახელა. ჯანაშიას შეიძლება გავუგოთ, სააკაშვილს ღამით რა დაესიზმრება და უთენიაზე რომელი თვითმფრინავით მსოფლიოს რომელ ქვეყანაში გაფრინდება, დღესდღეობით ჯერ არავის დაუდგენია (და ალბათ ვერც ვერასოდეს დაადგენენ). ისიც უცნობია, მოგზაურობის დროს რომელ ქვეყანაში რომელი ფეხბურთელის დრიბლინგსა და ფინტებს გამოიყენებს ან აეროპორტში ესკორტით მიმავალ რომელ სახინკლესა თუ სახაშეში გადაუხვევს... ჰოდა, ამის მადევარ კაცს რა მილიონები გაუძლებს?

მილიონებზე რა მოგახსენოთ, ისეთი მცირე სახსრების მქონე ქვეყანაც კი, როგორიც ჩვენია, ალბათ სააკაშვილის მადას ოქტომბრამდე როგორმე გაუძლებს, მაგრამ საკითხავია, მეორე მხარეც — თავად სააკაშვილი ამ განსაცდელს როგორ გადაიტანს? ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით პროგნოზს ვერ აკეთებენ (საერთოდ სააკაშვილი არაპროგნოზირებადია), პირადად პრეზიდენტი კი იმით დაკმაყოფილდა, რომ ივანიშვილის ხელისუფლებაზე განაწყენებულმა სახელმწიფო დაცვის სამსახურზე უარი განაცხადა და მარტოოდენ გაბუტვით შემოიფარგლა. სხვათა შორის, ეს ბავშვური პოზა, როგორც სჩვევია ხოლმე სააკაშვილს, ამჯერადაც მშვენივრად შეიშნოვა, აზერბაიჯანში ვიზიტად მიმავალი ჩაჯდა საკუთარ ელექტრომობილში და აეროპორტისკენ ჯიგიტივით გააქროლა. ადგილზე უხიფათოდ მისულმა ხელჩანთა მოხდენილად მოიგდო მხარზე, ტრაპი მეუღლესთან ერთად ცქვიტად აირბინა და ივანიშვილის გამოსაჯავრებლად ირონიანარევი ღიმილით განაცხადა: სულაც არ მჭირდება თქვენი დაცვა, ის სადაც გინდათ იქ წაიღეთ, ამიერიდან მე სანდრა დამიცავსო(!).

ასეა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ეს საკითხიც, ისევე როგორც ქვეყნისათვის ბევრი სხვა პირველი რიგის პრობლემა, იოლად და უმტკივნეულოდ გადაწყვიტა, ოღონდ რაღაც გაურკვეველი მაინც დარჩა. კერძოდ, გასარკვევი და დასაზუსტებელია, პრეზიდენტის გაბუტვა რამდენად ჯდება კოჰაბიტაციის კომპეტენციის ჩარჩოებში და საჭირო იქნება თუ არა ამ საკითხზე პარლამენტის უმრავლესობასა და უმცირესობას შორის დებატების გამართვა. ისიც საკითხავია, სააკაშვილის გაბუტვა ჩაითვლება თუ არა პრეზიდენტის მორიგ სისულელედ და თუ ჩაითვლება, „ქართულმა ოცნებამ“ მის გასანეიტრალიზებლად რა უნდა მოიმოქმედოს. თუმცა, ამის თაობაზე წერილის შესავალში უკვე ვთქვით, თუკი ამერიკელებს აქვთ უფლება სულელები იყვნენ, მაშინ სააკაშვილს, რომელმაც ამერიკაში ისწავლა და ცხოვრების იქაური პრაქტიკა გაიარა, ამ უფლებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევუზღუდავთ. არც იმის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სააკაშვილი ახლო მომავლაში, ყოველ შემთხვევაში ოქტომბრამდე მაინც, სისულელეების კეთებას გადაეჩვევა. ამის შანსი ძალიან მცირეა, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ არსებობს.

**ოთარ ხუციშვილი**

◎ რის ზეწოლაო, აცხადებენ!

# „რუსთავი2“-ის პროდიუსერს სააკაშვილისთვის არ მოუსმენია

(მეშვიდე გვერდიდან)

რას ფიქრობენ ახალი ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთობაზე თავად მედიის წარმომადგენლები, ამის გასარკვევად რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ.

რეგიონული მედიის ასოციაციის პრეზიდენტი ია მამალაძე **ღიმილისმომგვრელს უწოდებს პრეზიდენტის მხრიდან მედიაზე ზეწოლასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას. რაც შეეხება საზოგადოებრივ მაუწყებელს, ია მამალაძის თქმით, ამ არხის ამ ფორმით არსებობა არის სწორედ საზოგადოებაზე ზეწოლა მედიის მხრიდან და არა ვინმეს მხრიდან ზეწოლა მედიაზე.**



მედია-ექსპერტი ლელა კურდღელაშვილი აცხადებს, რომ **საზოგადოებისთვის მედიაზე ზეწოლის ფაქტები ცნობილი არ არის, მაგრამ თუ ასეთი ფაქტების შესახებ ინფორმაცია აქვს პრეზიდენტს, მან ამ ინფორმაციას შესაბამისი სამართლებრივი მსვლელობა უნდა მისცეს.**

**„ქართულ მედიაში გარკვეული პროცესები მიმდინარეობს, მაგრამ ეს დამოკიდებულია იმაზე, რომ პირველი ოქტომბრის შემდეგ საზოგადოების მხრიდან მოთხოვნა შეიცვალა. ვამჩნევ, რომ მედია ჩამოუყალიბებელია და სრულად მოუწევს გადაწყობა, რადგან ახლა უკვე აღარ არის ის სივრცე, რაც იყო წინასაარჩევნოდ. აქ ბევრი რამ შეიცვლება, თუმცა, ზეწოლაზე საუბარი არავის მიმართ არ გამიგია. „რუსთავი2“-ის მიმართ რაღაც გადაკრული ფრაზები გვსმენია და შეიძლება ეს ნიკა გვარამიას საკითხს ეხებოდეს, მაგრამ თუ ყველამ ვიცით, როდის მივიდა ამ არხზე გვარამია“,** — აცხადებს ლელა კურდღელაშვილი.

მისი თქმით, **პრეზიდენტის მხრიდან მედიაზე ზეწოლაზე საუბარი უფრო დასავლეთზე არის გათვლილი. აქვე ექსპერტი იხსენებს, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან ძალიან მალევე ტელეკომპანია „იბერია“ დაიხურა, იყო ზეწოლა „კავკასიაზე“ და „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ და ა.შ. ახლა კი ახალი ხელისუფლების მოსვლიდან უკვე 5 თვე გავიდა და თუ პრეზიდენტს რამე კონკრეტული ფაქტები აქვს, მედიაექსპერტი ამბობს, რომ მან ამის შესახებ კონკრეტულად უნდა ისაუბროს და შესაბამისი რეაგირებაც მოახდინოს.**

**რუსიკო უშიკიშვილი**

## საჯარო განხილვის მოწყობის მიზნით
## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2013 წლის 25 აპრილს დღის 12 საათზე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: საქართველო, ქ. ახალქალაქი, ჩარენცის №11), გაიმართება შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ მიერ წარმოდგენილი — ახალქალაქი-კარწახის კორექტირებული მონაკვეთის (სადგურ კარწახიდან გვირაბამდე და გვირაბი-თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს: „ბაქო-თბილისი-ყარსის“ ახალი სარკინიგზო ხაზის შესახებ, საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობებს შორის 2007 წლის 07 თებერვალს გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში მიმდინარე პროექტის რეალიზება, კერძოდ: პროექტის საქართველოს მონაკვეთზე საქართველო-თურქეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო გვირაბისა და მასთან დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა.

— საზოგადოების წარმომადგენლების დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

— შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ ოფისში (მის: საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150);

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მის: საქართველო, ქ. ახალქალაქი, ჩარენცის №11);

დოკუმენტაციის ელ. ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე : www.moe.gov.ge; www.aarhus.ge

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა 2013 წლის 22 აპრილის 18 საათამდე.

**შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ ადმინისტრაცია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების პროექტი (SLRP II): ხიდების სპეციალისტი

## ტექნიკური დავალება

საქართველოს მთავრობამ მიიღო დაფინანსება მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტის (SLRP II) ფარგლებში, რათა შერჩეულ შიდასახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გზებზე გაუმჯობესდეს ადგილობრივი მიმოსვლა და შემცირდეს მგზავრობის ხანგრძლოვობა. სამშენებლო სამუშაოები და მასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები საჭიროებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მხრიდან სპეციალურ ხელმძღვანელობას. წინამდებარე ტექნიკური დავალება განსაზღვრავს ხიდების სპეციალისტის მოვალეობებს, რაც უზრუნველყოფს გზების დეპარტამენტისათვის დამატებითი დახმარების გაწევას პროექტის წარმატებით განხორციელების მიზნით.

**ხიდების სპეციალისტის პასუხისმგებლობების განსაზღვრა დეტალურად:**

ხიდების სპეციალისტს ნიშნავს სგდ და იგი ანგარიშვალდებულია უშუალოდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეების მიმართ. ხიდების სპეციალისტმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლებთან, სადაც მას გადაეცემა განსახილველად სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციის მიერ დამუშავებული პროექტები როგორც ახალი, ასევე სარეაბილიტაციო ხიდების, რომელთა საერთო რაოდენობა შესაძლოა თვეში იყოს 2-3 პროექტი.

დამკვეთის მოთხოვნით კონსულტანტი ასევე ჩართული იქნება პროექტირების ეტაპზე სამუშაო განხილვებსა და საპროექტო ორგანიზაციებთან ერთად სხვადასხვა საინჟინრო-ტექნიკური საკითხების განხილვებში.

კონსულტანტს საშუალება ექნება იმუშაოს როგორც გზების დეპარტამენტის ოფისში, ასევე მის საკუთარ ოფისში ან სახლში. დეპარტამენტში სრული სამუშაო დროით ყოფნა არ არის სავალდებულო.

ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მიზნის შესასრულებლად კონსულტანტი ვალდებულია:
1. საფუძვლიანად შეისწავლოს და გააანალიზოს პროექტით წარმოდგენილი სახიდე გადასასვლელის განლაგება გეგმაში (საჭიროების შემთხვევაში ადგილზე გასვლითაც), ხიდის ხვრეტის სიდიდის დანიშვნის მართებულება (საერთო და ადგილობრივი წარეცხვების გათვალისწინებით), სარეგულაციო ნაგებობების განლაგება გეგმაში, სავალი ნაწილის პარამეტრების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან;
2. შეამოწმოს ხიდისა და სარეგულაციო ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების: მალის ნაშენების (კოჭები, ფილები ფერმები და სხვა), განაპირა და შუალედი ბურჯების (საძირკვლები, ტანები, რიგელები და სხვა), საყრდენი კედლებისა და სხვა ნაგებობების შესაბამისობა სამშენებლო ნორმებთან, თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნებთან, მათი ზომებისა (განივი კვეთები, სიგრძეები და სხვა) და არმირების სისწორე (ესკიზური და ტექნიკური ანგარიშების საფუძველზე), ასევე მათი საიმედოობა სეისმომედეგობის თვალსაზრისით;
3. შეამოწმოს სახიდე გადასასვლელის პროექტით გათვალისწინებული ბურჯებისა და სარეგულაციო ნაგებობების გამორეცხვისაგან დაცვის ღონისძიებები გეოლოგიური და ჰიდროლოგიური დასკვნების საფუძველზე და ხიდის სავალი ნაწილიდან წყლის აცილების სისტემების ეფექტურობა;
4. შეამოწმოს სახიდე გადასასვლელის მშენებლობის ორგანიზაციის სისწორე და თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა;
5. შეამოწმოს სამუშაოთა მოცულობების რაოდენობრივი სისწორე მიახლოებით;
6. პროექტით განსაზღვრული გადაწყვეტილებების გაანალიზება ეკონომიკური კუთხით, მათი ოპტიმალურობის დადგენის მიზნით;
7. მონაწილეობა მიიღოს ხიდების შერჩევასა და მათი პრიორიტეტების განსაზღვრაში დეპარტამენტის წლიური სარეაბილიტაციო, სამშენებლო და ხიდების გამოკვლევა-გამოცდის გეგმების შემუშავების პროცესში;
8. საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს რთული და მნიშვნელოვანი ობიექტების რეაბილიტაციისა და მშენებლობის მონიტორინგში;

**საავტომობილო გზების დეპარტამენტის მონაწილეობა:**

სგდ ხიდების სპეციალისტისათვის ხელმისაწვდომს გახდის ყველა აუცილებელ დოკუმენტაციას.

**ანგარიშების წარმოდგენის მოთხოვნები:**

შუალედური ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას 15 სამუშაო დღის ვადაში პროექტის მიღების დღიდან, რომელიც უნდა შეიცავდეს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს პროექტით გათვალისწინებულ ტექნიკურ გადაწყვეტილებებზე.

5 სამუშაო დღის ვადაში დამკვეთის და პროექტის ავტორის კომენტარების მიღების დღიდან, წარმოდგენილი უნდა იქნას საბოლოო ანგარიში.

კონსულტანტი ვალდებულია წარმოდგინოს შუალედური და საბოლოო ანგარიშები ორ-ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, მას უნდა ახლდეს ასევე ელექტრონული ვერსია.

**ხიდების სპეციალისტის კვალიფიკაცია და გამოცდილება:**

კონსულტანტი უნდა იყოს კვალიფიცირებული პროფესიონალი ხიდების სპეციალისტი არანაკლებ 15-წლიანი გამოცდილებით, მათ შორის პროექტირების კარგი გამოცდილებით. ინგლისური ენის კარგად ცოდნა სასურველია.

ხიდების სპეციალისტის შერჩევა მოხდება "ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურების" შერჩევის მეთოდით, როგორც ეს აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში: "მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დასაქმება (რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (IBRD) სესხებისა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით), 2011 წლის იანვარი ("კონსულტანტების სახელმძღვანელო").

კონსულტანტი დაქირავებული იქნება 12 თვით, შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით.
მოკლე ბიოგრაფია (CV) ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა გამოაგზავნოთ ელექტრონულ ფოსტაზე info@georoad.ge არაუგვიანეს **2013 წლის 13 მარტის 17:00 საათისა.** განაცხადის გამოგზავნისას შესაბამის ველში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება.

**დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ:**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს შესყიდვების ორგანიზების განყოფილებას

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
ტელ: +995 322 37-05-08 (305)
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# Second Secondary and Local Roads Project (SLRPII): Bridge Engineer

## Terms of Reference

**Background**
The Government of Georgia has received financing from the World Bank under the Second Secondary and Local Roads Project (SLRPII) for the improvement of local connectivity and travel time for the selected secondary and local roads. The civil works, supervision engineers and supporting consultancy services require dedicated management from the Roads Department. This Terms of Reference define the tasks of a Bridge Engineer to provide part of the additional assistance required for the Roads Department to implement this Project successfully.

**Detailed Responsibilities of the Bridge Engineer**
The Bridge Engineer shall be appointed by and directly report to the Vice-Chairman of the Roads Department. He will closely interact with the staff of Technical Policy Division, who will provide him with a new and/or existing bridge designs prepared by various design companies, at average 2-3 designs per month. Also, at the design stage the Bridge Engineer will be involved in review process of different engineering and technical issues by the Roads Department and design companies.

Full-time presence at RD office is not mandatory. The Bridge Engineer will be allowed to perform part of his duties at home.

In order to meet objectives of the assignment, the Consultant will:
1. Provide in-depth study and analysis of the proposed layout of the bridge in top view (if necessary arrange site visits), analyze appropriateness of the bridge waterway opening (considering general and local scouring), top plan view of protective structures, compliance of the carriageway parameters with the effective standards;
2. Examine compliance of the bearing parts of bridge and protective structures - superstructure (beams, slabs, girders, etc.), abutments and piers (foundation, columns, pier caps, etc.), retaining walls and other structures - with the construction regulations and modern technical requirements, check the correctness of their size (cross sections, length, etc.) and reinforcement (based on rough and technical calculations), also their reliability in terms of seismic resistance;
3. Based on the results of geologic and hydrologic studies examine the protective measures envisaged by the design against scouring of piers and protective structures of the bridge and effectiveness of the systems for water removal from the bridge deck;
4. Examine whether the bridge construction process is properly organized and consider possibility to use modern technical facilities;
5. Check the correctness of approximate quantities of the work;
6. Provide analysis of solutions specified by the design from economical standpoint to determine their optimality.
7. Participate in selection of bridges and prioritization during the development of Department's annual plans for rehabilitation, construction and examination/testing of the bridges.
8. Participate in monitoring of rehabilitation and construction of complicated and important projects, if necessary.

**Road Department's Input**
The RD will make available to the Bridge Engineer all necessary documents related to the assignment.

**Schedule and Reporting**
1. Draft Report for each bridge design review shall be submitted within 15 days, following handing-over of the design documents by the Client to the Consultant. The Draft Report shall highlight issues and recommendations on engineering solutions.

2. Within 5 days following review by the Client and the design company of recommendations on engineering solutions and issuing relevant comments, the Consultant shall submit Final Report.

**Deliverables:**
The Consultant is required to deliver the following documents and in the following copies:
(i) Draft Report
- 2 copies in Georgian + CD
(ii) Final Report:
- 2 copies in Georgian + CD

**Qualifications and Experience of the Bridge Engineer**

The Consultant shall be a qualified professional bridge engineer with at least 15 years of experience, including strong design experience. Knowledge of English language will be a plus.

The Bridge Engineer will be selected under "Individual Consulting Services" selection method for a time-based contract, as described in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 ("Consultant Guidelines").

The initial appointment will be for a period of 12 months, with possibility to downstream assignment.
Applications should include Curriculum Vitae in Georgian and English Languages. Applications must be submitted via email to info@georoad.ge. Please indicate the position in subject line. Deadline for applications: **March 13, 2013, 17:00**.
To obtain detailed information, please contact:

Procurement Organization Unit of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 305
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების პროექტი (SLRP II): ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი

## ტექნიკური დავალება

საქართველოს მთავრობამ მიიღო დაფინანსება მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტის (SLRP II) ფარგლებში, რათა შერჩეულ შიდასახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გზებზე გაუმჯობესდეს ადგილობრივი მიმოსვლა და შემცირდეს მგზავრობის ხანგრძლივობა. სამშენებლო სამუშაოები და მასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები საჭიროებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მხრიდან სპეციალურ ხელმძღვანელობას. წინამდებარე ტექნიკური დავალება განსაზღვრავს ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტის მოვალეობებს, რაც უზრუნველყოფს გზების დეპარტამენტისათვის დამატებითი დახმარების გაწევას პროექტის წარმატებით განხორციელების მიზნით.

**ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტის პასუხისმგებლობების განსაზღვრა დეტალურად:**

ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტს ნიშნავს სგდ და იგი ანგარიშვალდებულია უშუალოდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეების მიმართ. ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლებთან, სადაც მას გადაეცემა სხვადასხვა საგზაო პროექტების ხარჯთაღრიცხვები, რომელთა საერთო რაოდენობა შესაძლოა თვეში იყოს 3-4 პროექტის ხარჯთაღრიცხვა.

კონსულტანტს საშუალება ექნება იმუშაოს როგორც გზების დეპარტამენტის ოფისში, ასევე მის საკუთარ ოფისში ან სახლში. დეპარტამენტში სრული სამუშაო დროით ყოფნა არ არის სავალდებულო.

ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მიზნის შესასრულებლად კონსულტანტი ვალდებულია შეამოწმოს:
1. ხარჯთაღრიცხვაში გაფასებული მოცულობების სახეობებისა და სიდიდის შესაბამისობა პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობების ცხრილთან;
2. ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული ერთეული ფასების წარმოქმნის სისწორე და მათი გაანგარიშების მართებულება(ზიდვის მანძილები, მასალების საბაზრო ფასები და სხვა);

**საავტომობილო გზების დეპარტამენტის მონაწილეობა:**

სგდ ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტისათვის ხელმისაწვდომს გახდის ყველა აუცილებელ დოკუმენტაციას.

**ანგარიშების წარმოდგენის მოთხოვნები:**

შუალედური ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას 15 სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი დოკუმენტაციის მიღების დღიდან, რომელიც უნდა შეიცავდეს ყველა შეუსაბამობას ხარჯთაღრიცხვაში გაფასებულ მონაცემებსა და პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობების ცხრილს შორის;

5 სამუშაო დღის ვადაში დამკვეთის კომენტარების მიღების დღიდან, წარმოდგენილი უნდა იქნას საბოლოო ანგარიში.

კონსულტანტი ვალდებულია წარმოდგინოს შუალედური და საბოლოო ანგარიშები ორ-ორ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, მას უნდა ახლდეს ასევე ელექტრონული ვერსია.

**ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტის კვალიფიკაცია და გამოცდილება:**

კონსულტანტი უნდა იყოს კვალიფიცირებული პროფესიონალი ინჟინერი არა ნაკლებ 10 წლიანი გამოცდილებით, მათ შორის ერთეული ფასების გამოთვლის კარგი გამოცდილებით. ინგლისური ენის კარგად ცოდნა სასურველია.

ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტის შერჩევა მოხდება "ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურების" შერჩევის მეთოდით, როგორც ეს აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში: "მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დასაქმება (რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (IBRD) სესხებისა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით), 2011 წლის იანვარი ("კონსულტანტების სახელმძღვანელო").

კონსულტანტი დაქირავებული იქნება 12 თვით, შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით.
მოკლე ბიოგრაფია (CV) ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა გამოაგზავნოთ ელექტრონულ ფოსტაზე info@georoad.ge არაუგვიანეს **2013 წლის 13 მარტის 17:00 საათისა.** განაცხადის გამოგზავნისას შესაბამის ველში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება.

**დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ:**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს შესყიდვების ორგანიზების განყოფილებას.
მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
ტელ: +995 322 37-05-08 (305)
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# Second Secondary and Local Roads Project (SLRPII): Cost Estimator

## Terms of Reference

**Background**

The Government of Georgia has received financing from the World Bank under the Second Secondary and Local Roads Project (SLRPII) for the improvement of local connectivity and travel time for the selected secondary and local roads. The civil works, supervision engineers and supporting consultancy services require dedicated management from the Roads Department. This Terms of Reference define the tasks of a Cost Estimator to provide part of the additional assistance required for the Roads Department to implement this Project successfully.

**Detailed Responsibilities of the Cost Estimator**

The Cost Estimator shall be appointed by and directly report to the Vice-Chairman of the Roads Department. He will closely interact with the staff of Technical Policy Division, who will provide him with cost estimates for various road projects, at average 3-4 cost estimates per month. Full-time presence at RD office is not mandatory. The Cost Estimator will be allowed to perform part of his duties at home.

In order to meet objectives of the assignment, the Consultant will:
1. Compare types and volumes of works listed in the cost estimation with the Bill of Quantities;
2. Check correctness of unit prices listed in BOQ and basis of their calculation (haul distance, market prices of materials, etc);

**Road Department's Input**

The RD will make available to the Cost Estimator all necessary documents related to the assignment.

**Schedule and Reporting**

1. Draft Report for each Bill of Quantities review shall be submitted within 15 days, following handing-over of the relevant documents by the Client to the Consultant. The Draft Report shall highlight all inconsistencies revealed during review.
2. Within 5 days following review by the Client and issuing relevant comments, the Consultant shall submit Final Report.

**Deliverables:**

The Consultant is required to deliver the following documents and in the following copies:
(i) Draft Report
- 2 copies in Georgian + CD
-
(ii) Final Report:
- 2 copies in Georgian + CD

**Qualifications and Experience of the Cost Estimator**

The Consultant shall be a qualified professional engineer with at least 10 years of experience, including strong experience in calculation of unit rates. Knowledge of Englis language will be a plus.

The Cost Estimator will be selected under "Individual Consulting Services" selection method for a time-based contract, as described in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 ("Consultant Guidelines").
The initial appointment will be for a period of 12 months, with possibility to downstream assignment.
Applications should include Curriculum Vitae in Georgian and English Languages. Applications must be submitted via email to info@georoad.ge. Please indicate the position in subject line. Deadline for applications: **March 13, 2013, 17:00.**
To obtain detailed information, please contact:

Procurement Organization Unit of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 305
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

## დაიჯესტი

### ვერცხლის მუხლი

ზამთრის მიწურულს ცნობილ რუსეთელ მომღერალს ედიტა პიეხას გერმანიის ქალაქ ვისბადენის კლინიკაში ექიმებმა მუხლის დაზიანებული სახსარი ლითონის სახსრით შეუცვალეს, რის შემდეგ სპეციალური ცნობა გამოუწერეს აეროპორტების კონტროლის სამსახურებისთვის.

ათი წლის წინათ მომღერალს აგარაკზე თავისი ძაღლი დაეჯახა და წააქცია. მოტეხილი ფეხი კი შეხორცდა, მაგრამ მძიმე შედეგი დარჩა — ქალბატონი პიეხა ფეხს სწორად ვერ დგამდა, რის შედეგად ერთგვარად „შეღავათიანი სიარული" გამოუმუშავდა. ერთხელ მომღერალი ტელევიზიით ყაზახელმა ეთნიკურმა გერმანელმა ქირურგმა ნახა და მიხვდა, რომ ქალს სახსარი ჰქონდა დაზიანებული. იგი მას დაუკავშირდა და გერმანიაში წასვლა შესთავაზა. ბევრი ჭოჭმანის შემდეგ წლის დამდეგს ედიტა პიეხა გერმანიაში ჩავიდა, მეორე დღეს კი მას ოპერაცია გაუკეთეს. იგი სამ კვირას იწვა, მერე კი ახალი სახსრით სიარულის სწავლა დაიწყო. ამჟამად მას არანაირი უსიამოვნო, დისკომფორტის შეგრძნება არ აქვს. ვერცხლის მუხლი ექიმებმა ცემენტზე ისე დასვეს, სტომატოლოგები კბილის პროტეზს რომ სვამენ ხოლმე.

### რელიგიური ფანატიზმის ტალღაზე

ნისლიანი ალბიონი საზარელმა მკვლელობამ შეძრა. იანვარში უელსის ქალაქ კარდიფის სასამართლომ 33 წლის სარა იგს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

უმკაცრესი განაჩენი ქალს იმის გამო გამოუტანეს, რომ მან ჯოხის ცემით მოკლა... თავისი ვაჟიშვილი იასინი. გადაუმტვრია ხელ-ფეხი, დაუზიანა შინაგანი ორგანოები. და ყველაფერი ეს იმის გამო, რომ შვიდი წლის ბიჭუნამ... ყურანი ვერ დაიზეპირა!

ბავშვის დასახიჩრებული სხეული ქალმა ბაღში დაწვა.

— ბიჭუნა სასტიკი სიკვდილით მოკვდა, საოცრად ძლიერ ტკივილს განიცდიდა, მაგრამ ქალს სამედიცინო დახმარების გამოძახება არც უფიქრია, — განაცხადა პროკურორმა. სკოტლანდ იარდის წარმომადგენელმა კი თავის მხრივ აღნიშნა, რომ მომხდარი „აისბერგის მხოლოდ მწვერვალია, რადგან გაერთიანებულ სამეფოში მუსლიმანურ ოჯახებში ბოლო დროს მკვეთრად იმატა რელიგიურმა ფანატიზმმა".



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების პროექტი (SLRP II): საინჟინრო გეოლოგიის სპეციალისტი (გეოტექნიკოსი)

## ტექნიკური დავალება

საქართველოს მთავრობამ მიიღო დაფინანსება მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტის (SLRP II) ფარგლებში, რათა შერჩეულ შიდასახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გზებზე გაუმჯობესდეს ადგილობრივი მიმოსვლა და შემცირდეს მგზავრობის ხანგრძლივობა. სამშენებლო სამუშაოები და მასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურეობები საჭიროებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მხრიდან სპეციალურ ხელმძღვანელობას. წინამდებარე ტექნიკური დავალება განსაზღვრავს საინჟინრო გეოლოგიის სპეციალისტის (გეოტექნიკოსის) მოვალეობებს, რაც უზრუნველყოფს გზების დეპარტამენტისათვის დამატებითი დახმარების გაწევას პროექტის წარმატებით განხორციელების მიზნით.

**საინჟინრო გეოლოგიის სპეციალისტის (გეოტექნიკოსის) პასუხისმგებლობების განსაზღვრა დეტალურად:**

საინჟინრო გეოლოგიის სპეციალისტს ნიშნავს სგდ და იგი ანგარიშვალდებულია უშუალოდ საავტომობილო გზების დეარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეების მიმართ. საინჟინრო გეოლოგიის სპეციალისტმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლებთან, სადაც მას გადაეცემა განსახილველად სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციის მიერ დამუშავებული პროექტები როგორც ახალი, ასევე სარეაბილიტაციო ხიდების, რომელთა საერთო რაოდენობა შესაძლოა თვეში იყოს 2-3 პროექტი.

დამკვეთის მოთხოვნით კონსულტანტი ასევე ჩართული იქნება პროექტირების ეტაპზე სამუშაო განხილვებსა და საპროექტო ორგანიზაციებთან ერთად სახვადასხვა საინჟინრო-ტექნიკური საკითხების განხილვებში.

კონსულტანტს საშუალება ექნება იმუშაოს როგორც გზების დეპარტამენტის ოფისში, ასევე მის საკუთარ ოფისში ან სახლში. დეპარტამენტში სრული სამუშაო დროით ყოფნა არ არის სავალდებულო.

ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მიზნის შესასრულებლად კონსულტანტი ვალდებულია:
1. საფუძვლიანად შეისწავლოს და გაანალიზოს პროექტიში წარმოდგენილი გეოლოგიური შესწავლის მონაცემები – ჭაბურღილებისა და შურფების განლაგება საპროექტო ტრასასა და ხელოვნური ნაგებობების არეალში, მათი რაოდენობრივი შესაბამისობა საპროექტო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;
2. შეისწავლოს და გაანალიზოს საველე სამუშაოების შედეგად მიღებული ნიმუშებისა და სხვა მასალების ლაბორატორიული შესწავლის მონაცემები;
3. გაანალიზოს გეოლოგიური შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები, რომლითაც იხელმძღვანელეს გზებისა და ხელოვნური ნაგებობების ინჟინრებმა საპროექტო საინჟინრო-ტექნიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

**საავტომობილო გზების დეპარტამენტის მონაწილეობა:**

სგდ საინჟინრო გეოლოგიის სპეციალისტისათვის ხელმისაწვდომს გახდის ყველა აუცილებელ დოკუმენტაციას.

**ანგარიშების წარმოდგენის მოთხოვნები:**

შუალედური ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას 20 სამუშაო დღის ვადაში პროექტის მიღების დღიდან, რომელიც უნდა შეიცავდეს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს პროექტიში წარმოდგენილი გეოლოგიური შესწავლის მონაცემებზე.

7 სამუშაო დღის ვადაში დამკვეთის და პროექტის ავტორის კომენტარების მიღების დღიდან, წარმოდგენილი უნდა იქნას საბოლოო ანგარიში.

კონსულტანტი ვალდებულია წარმოდგინოს შუალედური და საბოლოო ანგარიშები ორ-ორ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, მას უნდა ახლდეს ასევე ელექტრონული ვერსია.

**საინჟინრო გეოლოგიის სპეციალისტის (გეოტექნიკოსის) კვალიფიკაცია და გამოცდილება:**

კონსულტანტი უნდა იყოს კვალიფიცირებული პროფესიონალი გეოლოგიის სპეციალისტი (გეოტექნიკოსი) არა ნაკლებ 15 წლიანი გამოცდილებით. ინგლისური ენის კარგად ცოდნა სასურველია.

საინჟინრო გეოლოგიის სპეციალისტის (გეოტექნიკოსის) შერჩევა მოხდება "ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურეოების" შერჩევის მეთოდით, როგორც ეს აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში: "მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დასაქმება (რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (IBRD) სესხებისა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით), 2011 წლის იანვარი ("კონსულტანტების სახელმძღვანელო").

კონსულტანტი დაქირავებული იქნება 12 თვით, შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით.
მოკლე ბიოგრაფია (CV) ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა გამოაგზავნოთ ელექტრონულ ფოსტაზე info@georoad.ge არაუგვიანეს **2013 წლის 13 მარტის 17:00 საათისა.** განაცხადის გამოგზავნისას შესაბამის ველში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება.

**დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ:**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს შესყიდვების ორგანიზების განყოფილებას

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
ტელ: +995 322 37-05-08 (305)
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# Second Secondary and Local Roads Project (SLRPII): Geotechnical Expert

## Terms of Reference

**Background**
The Government of Georgia has received financing from the World Bank under the Second Secondary and Local Roads Project (SLRPII) for the improvement of local connectivity and travel time for the selected secondary and local roads. The civil works, supervision engineers and supporting consultancy services require dedicated management from the Roads Department. This Terms of Reference define the tasks of a Geotechnical Expert to provide part of the additional assistance required for the Roads Department to implement this Project successfully.

**Detailed Responsibilities of the Geotechnical Expert**
The Geotechnical Expert shall be appointed by and directly report to the Vice-Chairman of the Roads Department. He will closely interact with the staff of Technical Policy Division, who will provide him with a new and/or existing road designs prepared by various design companies, at average 2-3 designs per month. Also, at the design stage the Geotechnical Expert will be involved in review process of different engineering and technical issues by the Roads Department and design companies.

Full-time presence at RD office is not mandatory. The Geotechnical Expert will be allowed to perform part of his duties at home.

In order to meet objectives of the assignment, the Consultant will:
1. Provide in-depth study and analysis of the data resulted from geological survey presented in the design – location of the boreholes and prospect holes within the corridor of design route and structures, their numeral compliance with the requirements specified by the design norms and standards;
2. Study and analyze the data resulting from laboratory analysis of samples taken during the field works and other materials;
3. Analyze the conclusions and recommendations of geological study based on which the road and structures engineers made the design and technical solutions.

**Road Department's Input**
The RD will make available to the Geotechnical Expert with all necessary documents related to the assignment.

**Schedule and Reporting**
1. Draft Report for each road design review shall be submitted within 20 days, following handing-over of the design documents by the Client to the Consultant. The Draft Report shall highlight issues and recommendations on the data resulted from geological survey presented in the design.

2. Within 7 days following review by the Client and the design company of recommendations and issue of relevant comments, the Consultant shall submit the Final Report.

**Deliverables:**
The Consultant is required to deliver the following documents and in the following copies:
(i) Draft Report
- 2 copies in Georgian + CD
(ii) Final Report:
- 2 copies in Georgian + CD

**Qualifications and Experience of the Geotechnical Expert**

The Consultant shall be a qualified professional geotechnical engineer with at least 15 years of experience. Knowledge of Englis language will be a plus.

The Geotechnical Expert will be selected under "Individual Consulting Services" selection method for a time-based contract, as described in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 ("Consultant Guidelines").
The initial appointment will be for a period of 12 months, with possibility to downstream assignment.
Applications should include Curriculum Vitae in Georgian and English Languages. Applications must be submitted via email to info@georoad.ge. Please indicate the position in subject line. Deadline for applications: **March 13, 2013, 17:00.**
To obtain detailed information, please contact:
Procurement Organization Unit of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 305
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

## დაიჯესტი

### სამართალმა პური ჭამა

შარშან მაისში ათენის სასამართლომ იურისპრუდენციაში ყველაზე დაგვიანებული ამნისტიით გაითქვა სახელი.
სიკვდილით დასჯიდან თითქმის 2500 წლის შემდეგ სასამართლომ სოკრატე გაამართლა, რომელიც სიკვდილით დასაჯეს ჩ.წ.ა. 399 წელს. ესაა ოპტიმისტთა ფილოსოფიური სკოლის თეზისის კიდევ ერთი დადასტურება, რომ ადრე თუ გვიან, სამართალი მაინც პურს ჭამს.

### გახველებთ? შოკოლადი მიირთვით სასწრაფოდ!

მუქი შოკოლადი ხველას შველის, დაადგინეს ინგლისელმა სპეციალისტებმა. ამ თვისებას იგი ნივთიერება თეობრომინს უნდა უმადლოდეს, რომელსაც მწარე შოკოლადი შეიცავს. თეობრომინი ხველების რეფლექსს ბლოკავს და ავადმყოფს სუნთქვას უადვილებს. იმისთვის, რომ ხველება მოირჩინოთ, საკმარისია შოკოლადის პატარა ნატეხი მიირთვათ, თანაც უმჯობესი იქნება არა მისი დაღეჭვა, არამედ წუწნა.

### ვის ჩარჩო მოსწონს, ვის – ნახატი

შარშან მხატვრული ტილოების ფასის რეკორდი დაამყარა სეზანის ნახატმა „ბანქოს მოთამაშეები", რომე-



ლიც არაბმა შეიხმა 250 მილიონ დოლარად იყიდა.
ამას მოჰყვა ინკოგნიტო ამერიკელი ქალბატონის რეკორდი, რომელმაც დიდი რენუარის სურათი ყველაზე დაბალ ფასად – 7 მილიონ დოლარად იყიდა. ისე, კაცმა რომ თქვას, მან ჩარჩო იყიდა ფოტოსურათისთვის, თავად ნახატს კი გადაგდებას უპირებდა...



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების პროექტი (SLRP II): გზების სპეციალისტი

## ტექნიკური დავალება

საქართველოს მთავრობამ მიიღო დაფინანსება მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტის (SLRP II) ფარგლებში, რათა შერჩეულ შიდასახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გზებზე გაუმჯობესდეს ადგილობრივი მიმოსვლა და შემცირდეს მგზავრობის ხანგრძლივობა. სამშენებლო სამუშაოები და მასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურეობები საჭიროებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მხრიდან სპეციალურ ხელმძღვანელობას. წინამდებარე ტექნიკური დავალება განსაზღვრავს გზების სპეციალისტის მოვალეობებს, რაც უზრუნველყოფს გზების დეპარტამენტისათვის დამატებითი დახმარების გაწევას პროექტის წარმატებით განხორციელების მიზნით.

**გზების სპეციალისტის პასუხისმგებლობების განსაზღვრა დეტალურად:**

გზების სპეციალისტს ნიშნავს სგდ და იგი ანგარიშვალდებულია უშუალოდ საავტომობილო გზების დეარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეების მიმართ. გზების სპეციალისტმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლებთან, სადაც მას გადაეცემა განსახილველად სხვადასხვა გზების პროექტები, რომელთა საერთო რაოდენობა შესაძლოა თვეში იყოს 4-5 პროექტი.

კონსულტანტს საშუალება ექნება იმუშაოს როგორც გზების დეპარტამენტის ოფისში, ასევე მის საკუთარ ოფისში ან სახლში. დეპარტამენტში სრული სამუშაო დროით ყოფნა არ არის სავალდებულო.

ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მიზნის შესასრულებლად კონსულტანტი ვალდებულია:

1. საფუძვლიანად შეისწავლოს და გაანალიზოს პროექტით წარმოდგენილი გზის განლაგება (მდებარეობა) გეგმაში, გრძივი და განივი პროფილების ელემენტების შესაბამისობა სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებთან (ჰორიზონტალური და ვერტიკალური მრუდები, გრძივი და განივი ქანობები, გაფართოებები მრუდებზე და სხვა), მიწის ვაკისის კონსტრუქციის მოწყობის სისწორე ყრილებსა და ჭრილებში;
2. შეამოწმოს გზიდან წყალარინების სისტემის საპროექტო გადაწყვეტილების ეფექტურობა (კიუვეტების, მილების და სხვა მოწყობის მართებულება ჰიდროლოგიური მონაცემებიდან გამომდინარე);
3. შეამოწმოს გზის სამოსის კონსტრუქციის სისწორე და შესაბამისობა მოძრაობის ინტენსივობის, გზაზე მოქმედ დატვირთვებსა და საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებებთან;
4. შეამოწმოს პროექტში ასახული საგზაო უსაფრთხოების ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიებების არსებობა და მათი განლაგების სისწორე (მონიშვნა, საგზაო ნიშნები და სხვა) და შესაბამისობა გზის პარამეტრებთან;
5. შეამოწმოს სამუშაოთა მოცულობების რაოდენობრივი სისწორე მიახლოებით;

**საავტომობილო გზების დეპარტამენტის მონაწილეობა:**

სგდ გზების სპეციალისტისათვის ხელმისაწვდომს გახდის ყველა აუცილებელ დოკუმენტაციას.

**ანგარიშების წარმოდგენის მოთხოვნები:**

შუალედური ანგარიში ყოველი გზის მონაკვეთისთვის წარმოდგენილი უნდა იქნას 15 სამუშაო დღის ვადაში პროექტის მიღების დღიდან, რომელიც უნდა შეიცავდეს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს პროექტით გათვალისწინებულ ტექნიკურ გადაწყვეტილებებზე.

5 სამუშაო დღის ვადაში დამკვეთის და პროექტის ავტორის კომენტარების მიღების დღიდან, წარმოდგენილი უნდა იქნას საბოლოო ანგარიში.

კონსულტანტი ვალდებულია წარმოდგინოს შუალედური და საბოლოო ანგარიშები ორ-ორ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, მას უნდა ახლდეს ასევე ელექტრონული ვერსია.

**გზების სპეციალისტის კვალიფიკაცია და გამოცდილება:**

კონსულტანტი უნდა იყოს კვალიფიცირებული პროფესიონალი გზების სპეციალისტი არა ნაკლებ 15 წლიანი გამოცდილებით, მათ შორის გზების პროექტირების კარგი გამოცდილებით. ინგლისური ენის კარგად ცოდნა სასურველია.

გზების სპეციალისტის შერჩევა მოხდება "ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურეობების" შერჩევის მეთოდით, როგორც ეს აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში: "მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დასაქმება (რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (IBRD) სესხებისა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით), 2011 წლის იანვარი ("კონსულტანტების სახელმძღვანელო").

კონსულტანტი დაქირავებული იქნება 12 თვით, შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით.
მოკლე ბიოგრაფია (CV) ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა გამოაგზავნოთ ელექტრონულ ფოსტაზე info@georoad.ge არაუგვიანეს **2013 წლის 13 მარტის 17:00 საათისა.** განაცხადის გამოგზავნისას შესაბამის ველში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება.

**დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ:**
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს შესყიდვების ორგანიზების განყოფილებას
მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
ტელ: +995 322 37-05-08 (305)
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# Second Secondary and Local Roads Project (SLRPII): Road Engineer

## Terms of Reference

**Background**

The Government of Georgia has received financing from the World Bank under the Second Secondary and Local Roads Project (SLRPII) for the improvement of local connectivity and travel time for the selected secondary and local roads. The civil works, supervision engineers and supporting consultancy services require dedicated management from the Roads Department. This Terms of Reference define the tasks of a Road Engineer to provide part of the additional assistance required for the Roads Department to implement this Project successfully.

**Detailed Responsibilities of the Road Engineer**

The Road Engineer shall be appointed by and directly report to the Vice-Chairman of the Roads Department. He will closely interact with the staff of Technical Policy Division, who will provide him with various (at average 4-5) road designs per month . Full-time presence at RD office is not mandatory. The Cost Estimator will be allowed to perform part of his duties at home.

To meet the objectives of the assignment the Consultant will:
1. Provide in-depth study and analysis of the proposed road alignment (location) in top view, compliance of longitudinal and cross profiles with the construction rules and regulations (horizontal and vertical curves, longitudinal and transverse gradients, curve widening, etc), correctness of the roadbed structure at fills and cuts;
2. Examine the efficiency of the design solutions for the water removal from road (appropriateness of ditches, culverts and etc. based on hydrological data).;
3. Examine the correctness of the pavement structure and compliance with the traffic intensity, loads on road and road safety measures;
4. Check the presence and compliance of road safety measures considered by the design with safety norms and correctness of their location (marking, road signs, etc.) and compliance with the road parameters;
5. Check the correctness of approximate quantities of the work.

**Road Department's Input**

The RD will make available to the Road Expert with all necessary documents related to the assignment.

**Schedule and Reporting**

1. Draft Report for each road section review shall be submitted within 15 days, following handing-over of the design documents by the Client to the Consultant. The Draft Report shall highlight issues and recommendations on engineering solutions.

2. Within 5 days following review by the Client and the design company of recommendations on engineering solutions and issuing relevant comments, the Consultant shall submit Final Report.

**Deliverables:**

The Consultant is required to deliver the following documents and in the following copies:
(i) Draft Report
- 2 copies in Georgian + CD
(ii) Final Report:
- 2 copies in Georgian + CD

**Qualifications and Experience of the Road Expert**

The Consultant shall be a qualified professional road engineer with at least 15 years of experience, including strong road design experience. Knowledge of Englis language will be a plus.

The Road Engineer will be selected under "Individual Consulting Services" selection method for a time-based contract, as described in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 ("Consultant Guidelines").

The initial appointment will be for a period of 12 months, with possibility to downstream assignment.
Applications should include Curriculum Vitae in Georgian and English Languages. Applications must be submitted via email to info@georoad.ge. Please indicate the position in subject line. Deadline for applications: **March 13, 2013, 17:00.**
To obtain detailed information, please contact:

Procurement Organization Unit of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 305
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

დაიჯესტი

# ქორწინება, რომელიც მილიონები ღირს

**ოდესღაც** ჯინა ლოლობრიჯიდას მსოფლიოს ულამაზეს ქალად ასახელებდნენ. ახლა იგი 85 წლისაა და ამ ასაკში მატრიმონიალური სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა.

საქმე ისაა, რომ ბოლო დრომდე მას საყვარელი, მასზე 34 წლით ახალგაზრდა ესპანელი ბიზნესმენი, ვინმე ხავიერ რიგაუ-ი-რაფოლსი ჰყავდა, რომელმაც მსახიობთან... ქორწინების ინსცენირება მოაწყო, მის ადგილზე რეგისტრაციაზე ვიღაც სხვა ქალი მიიყვანა, რომელიც ძალიან ჰყავს ჯინას და ახლა ქონებას ედავება!

ლოლობრიჯიდამ და რიგაუ-ი-რაფოლსმა ერთმანეთი მონტე-კარლოში ჯერ კიდევ 80-იან წლებში გაიცნეს. ჯინა აცხადებს, რომ ბოიფრენდს მასთან ხელმოსაწერად რაღაც იურიდიული საბუთები მოჰქონდა ესპანურ ენაზე, რომლებსაც იგი ხელს აწერდა, თუმცა კი ენა არ იცის, მაგრამ სატრფოს ენდობოდა.

ინგლისური გამოცემის „დეილი ტელეგრაფის" ცნობით, ლოლობრიჯიდა სერიოზულად ფიქრობდა ხავიერზე გათხოვებას. „მეგონა, რომ დეპრესიიდან გამოვიდოდი, თუკი ცხოვრების წესს მკვეთრად შევცვლიდი. მაგრამ ნიუ-იორკიდან ქორწილისთვის რომ ჩამოვედი, მივხვდი, რომ შეცდომას ვუშვებდი", — ამბობს მსახიობი.

ჰოდა, სულ ახლახან, ისიც შემთხვევით, ჯინამ გაიგო, რომ 2010 წლიდან იგი, თურმე, გათხოვილი ყოფილა — ინტერნეტში მან დოკუმენტი ნახა, რომლის თანახმად ხავიერ რიგაუ-ი-რაფოლსი მისი ქმარია და რომ მათი ქორწინება ბარსელონაში, რვა მოწმის თანდასწრებით მომხდარა — არადა, ტაძარში სხვა ქალი, სახელად ტერეზა იყო, რომელიც ძალიან ჰგავს ჯინას. ახლა იგი ძალიან, ძალიან გაბრაზებულია და სასამართლოში ჩივილს აპირებს, — განაცხადა ვილიმ, მსახიობის მსახურმა.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ტანვარჯიში

# სამი მედალი რიგიდან



**ლატვიის დედაქალაქში ხუთ დღეს გრძელდებოდა ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი შვიდი ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით.** მოასპარეზეთა შორის ქართველი სპორტსმენებიც (დელეგაციის ხელმძღვანელი – საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი ბესიკ გამსახურდია) იყვნენ. უფროსებში პაატა ნოზაძემ იყოჩაღა. მრავალჭიდში მან IV ადგილი დაიკავა და მე-3 ადგილზე გასულ რუს მეტოქეს 0,3 ქულით ჩამორჩა. თავისუფალ ვარჯიშში კი 14,1 ქულით ყველას აჯობა და ოქროს მედალი მოიპოვა. ტაიჭსა და რგოლებზე იგი მე-5 ადგილებს დასჯერდა. ქალებში ნატო ძიძიგურმა ბჯენით ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშში VI ადგილები დაიკავა.

არანაკლებ დაძაბული გამოდგა 1998-1999 წლებში დაბადებულთა პაექრობები. სწორედ ამ ასაკის წარმომადგენლები გამოვლენ 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში. სასიამოვნოა, რომ ჩვენებურთაგან გოგონებში თავი გამოიჩინა თამარ ჩაჩუამ. თავისუფალ ვარჯიშში მან ვერცხლის მედალი მოიპოვა, მრავალჭიდში მეხუთე იყო, დვირზე კი მე-4 ადგილი დაიკავა.

ბიჭებში ივანე ჯიმშელეიშვილს თავისუფალ ვარჯიშში „ბრინჯაო“ ერგო. მეორე ადგილზე გასულმა რუსმა სპორტსმენმა ჩვენებურს 0,1 ქულით აჯობა. მასვე რგოლებში მე-5 ადგილი ხვდა. ამ დისციპლინაში ერთი ადგილით ჩამორჩა საბა აბესაძე, რომელიც ორძელზე მეხუთე იყო.

12 წლის ბიძინა სიჭინავამ მრავალჭიდში მე-6, ტაიჭზე – მეოთხე, თავისუფალში კი მე-5 ადგილი დაიკავა.

**ლექსო ცინცაძე**

## ჭადრაკი

# ჩინური კედელი ვერც ამჯერად ავიღეთ

**საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატებზე ჩინელებს მეოთხედ დაუპირისპირდა. აზიელები მსგავსი შეჯიბრებების სამგზის ჩემპიონები არიან. 2007 წელს ამ გუნდების პაექრობა ფრედ (2:2) დამთავრდა. მომდევნო ჩემპიონატებში ჩვენები დამარცხდნენ. ჩინელებმა ასტანაში მიმდინარე ტურნირზეც გვაჯობეს, იმის მიუხედავად, რომ გუნდში ორი უძლიერესი დიდოსტატი არ ჰყავთ – ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი და ჟაო სიუ. ჩემპიონი სათადარიგოებითაც ჩვენთვის დაუძლეველი ბარიერია.**



პირველ დაფაზე ნანა ძაგნიძე თეთრი ფიგურებით ცზიუ ვენძიუნთან შეხვედრისას 39 სვლის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ მე-40 სვლაზე უხეშად შეცდა და მეტოქეს დანებდა. ზედიზედ მეორედ წააგო ბელა ხოტენაშვილმა – ამჯერად ჰუან ძიანთან. არადა, მასაც მეტოქეზე უკეთესი პოზიცია ჰქონდა. ლელა ჯავახიშვილი თან ჟონის, სალომე მელია გუო ძის შეუთანხმდა ყაიმზე. საბოლოოდ ჩვენი ნაკრები 1:3 დამარცხდა.

**დანარჩენი შეხვედრები:** ინდოეთი – საფრანგეთი 2.5:1.5, აშშ – თურქეთი 2.5:1.5, რუსეთი – ყაზახეთი 3:1, უკრაინა – რუმინეთი 2:2.

**ლაშა დიდია**

## რაგბი

# ჰეიგის რჩეულნი

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ახალზელანდიელმა მილტონ ჰეიგმა ევროპის ერთა თასზე ესპანეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ დანიშნული მატჩისთვის „ბორჯღალოსანთა“ გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.**




საქართველოს ნაკრები ერთა თასის და 2015 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპის მე-4 ტურის შეხვედრას 9 მარტს „მიხეილ მესხზე“ 15 საათზე გამართავს.

**საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:**

**შერკინება:** ვასილ კაკოვინი („ტულუზა“, საფრანგეთი), მიხეილ ნარიაშვილი („მონპელიე“, საფრანგეთი), დავით ქუბრიაშვილი („ტულონი“, საფრანგეთი), დავით ზირაქაშვილი („კლერმონი“, საფრანგეთი), ზურაბ ჟვანია („სტად ფრანსე“, საფრანგეთი), იური ნატრიაშვილი („ბრივი“, საფრანგეთი), შალვა მამუკაშვილი („არმია“, თბილისი), გიორგი ჩხაიძე („ტარბი“, საფრანგეთი), კონსტანტინე მიქაუტაძე („ტულონი“, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი („ორიაკი“, საფრანგეთი), ლაშა ლომიძე („მონპელიე“, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი („მასი“, საფრანგეთი), ბექა ბიწაძე („არმია“, თბილისი), დიმიტრი ბასილაია („ედინბურგი“, შოტლანდია), მამუკა გორგოძე („მონპელიე“, საფრანგეთი), ვიტო კოლელიშვილი („კლერმონი“, საფრანგეთი);

**უკანა ხაზი:** გიორგი ბეგაძე („ბათუმი“, ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი („ხარები“, რუსთავი), მერაბ კვირიკაშვილი („სენ-ჟუნიენი“, საფრანგეთი), ლაშა ხმალაძე („ლელო“, თბილისი), მერაბ შარიქაძე („ჰართლპული“, ინგლისი), დავით კაჭარავა („როდეზი“, საფრანგეთი), თედო ზიბზიბაძე („პერიგო“, საფრანგეთი), ირაკლი მაჩხანელი („არმაზი“, თბილისი), თამაზ მჭედლიძე („მონ დე მარსანი“, საფრანგეთი), ირაკლი ყიასაშვილი („ლელო“, თბილისი), ბექა წიკლაური („ლოკომოტივი“, თბილისი).

**მთავარი მწვრთნელი:** მილტონ ჰეიგი (ახალი ზელანდია).

საქართველო, რუმინეთი – 12-12, პორტუგალია – 5, ბელგია, რუსეთი – 4-4, ესპანეთი – 3 ქულა.

**2013 წლის ევროპის ერთა თასი. 2015 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპი.**

**9 მარტი.**
**საქართველო – ესპანეთი.**
**პორტუგალია – რუსეთი.**
**ბელგია – რუმინეთი.**
**16 მარტი.**
**რუმინეთი – საქართველო.**
**ესპანეთი – პორტუგალია.**
**რუსეთი – ბელგია.**

**გიორგი შოთაძე**

## კალათბურთი

# მაიკლ ჯორდანს უკანონო შვილი დაუმტკიცეს

**ახლახანს გახმაურდა ჭორი მაიკლ ჯორდანის უკანონო შვილის შესახებ, რომელიც 16 წლისაა. როგორც ბავშვის დედა აცხადებს, მას არანაირი პრეტენზია არ ჰქონია ნბა-ს ლეგენდა მაიკლ ჯორდანთან,**



**სანამ ბიჭი არ წამოიზარდა და თვითონ არ მოითხოვა, ცნობილი მამიკოს შვილობა ოფიციალურად დაემტკიცებინათ მისთვის.**

მომჩივანი პამელა სმიტი ჯორდანთან ურთიერთობის პერიოდად 1995 წელს ასახელებს, როდესაც კალათბურთელი ჯერ კიდევ ხუანიტა ვანოის მეუღლე გახლდათ, საჩივრის შინაარსი კი მამობის არაღიარებასა და შვილისთვის მზრუნველობის მოკლებაში მდგომარეობს.

ცნობილია, რომ სმიტს მთელი ეს წლები გადასარევი ურთიერთობა ჰქონდა ჯორდანთან და არც ფული დასჭირვებია მისგან შვილის სარჩენად (თუმცა, ამ წლების განმავლობაში ბიჭს არც ყურადღება მოკლებია მამისგან, არც ფული და არც საჩუქრები). თავად გრანტ რეინოლდსს სურდა ცნობილი მამიკოს შვილის სტატუსის მოპოვება და სანამ არ შეავსებინა დედას საჩივრის ფორმა, მანამ არ მოეშვა.

სმიტის თქმით, ჯორდანის გამოწვევა და მისთვის რაიმეს მოთხოვნა არასდროს სდომებია. ერთადერთი მიზეზი, რატომაც ეს ნაბიჯი გადადგა, თავისი შვილია, რომელსაც მამა სჭირდება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ავტოსპორტი

# „რედ ბული“ ან ბლეფობს, ან კრიზისშია

**დასრულდა წინასასეზონო ტესტები. ორი კვირაც და მელბურნის ალბერტ პარკის ტრეკზე ფორმულა 1-ის ბოლიდები აგუგუნდებიან. ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, ვინ იბრძოლებს გამარჯვებებისთვის და ვის ექნება საჩემპიონო ამბიციები. ტესტებმა ამ კითხვებს ნაწილობრივ გასცა პასუხები, მაგრამ ეს პასუხები არადამაჯერებლად მოჩანს, რადგან ტესტებზე ყველა მანქანის სრულყოფას ცდილობს და არავინაა დაინტერესებული საუკეთესო დროის დაფიქსირებით.**

ყველაზე ხშირად, შანსების მიმოხილვისას, „მერსედესს“ და „რედ ბულს“ ახსენებენ. პირველს იმის გამო, რომ ტესტებზე ყველაზე სწრაფი მისი მანქანა იყო. მეორეს კი იმის გამო, რომ ერთთავად ჩრდილში იყო მოქცეული. ბევრი ანალიტიკოსი დარწმუნებულია, რომ წითელ ხარებს თავიანთი რეალური შესაძლებლობა არ უჩვენებიათ. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ამის სპეციალურად დაფარვა არაფერს იძლევა...



სამქიმიანების სისწრაფეს მათი თითქმის ყველა მეტოქე აღიარებს.

„რედ ბულის“ ჰელმუტ მარკოს თქმით, „მერსედესის“ მანქანა, როგორც მინიმუმ, კვალიფიკაციაზე სწრაფი იქნება. „ჩვენ ისინი სერიოზულ მეტოქედ უნდა განვიხილოთ“, – აცხადებს მარკო. „მაკლარენის“ სემ მაიკლი კი დასძენს, რომ ლუის ჰამილტონი და ნიკო როსბერგი ყველანაირ სიტუაციაში სწრაფები არიან.

რაც შეეხება „რედ ბულს“, ავსტრიულ საჯინიბოს ბოლო ტესტებზე პრობლემები ჰქონდა. სებასტიან ფეტელი ამბობს, რომ მანქანაზე ზოგიერთი ცვლილების განხორციელება გაძნელდა. სიტუაციას განსაკუთრებით საბურავების ფაქტორი ართულებს. მარკ ვებერის თქმით, გუნდს კიდევ რამდენიმე კვირის ტესტები ესაჭიროება, მაგრამ ამის საშუალება აღარ აქვს. ფეტელი კი ამატებს, რომ ახალი ნაწილები ისე ვერ მუშაობს, როგორც ინჟინრები იმედოვნებდნენ.

არიან ისეთებიც, ვისაც მიაჩნია, რომ „რედ ბული“ ბლეფობს. მაგალითად, ფელიპე მასა ქირქილებს, რომ „რედ ბული“ ყოველთვის თავის მოკატუნებას ცდილობს. როსბერგი, მართალია, არ აკონკრეტებს, თუმცა მასაც მიაჩნია, რომ ზოგი გუნდი ბლეფობს. თვით „რედ ბულის“ მფლობელი დიტრიხ მატეშიცი აღიარებს, რომ ყველაფერი წესრიგში ვერაა. მილიარდერის თქმით, მთავარ სირთულეს საბურავები ქმნის, თუმცა ეს ყველა გუნდს მეტნაკლებად ეხება. მისი მარჯვენა ხელი მარკო დასძენს, რომ ყველაფერი გეგმის შესაბამისად ვერ შესრულდა და ახლა მიღებული მონაცემების ანალიზის დროა.

მაგრამ გამოცემა „სპიდ უიკის“ ტექნიკური ექსპერტი გერი ანდერსონი გამოტყდა: „მე ისევ დარწმუნებული ვარ, რომ საუკეთესო მანქანა „რედ ბულისაა“. ამავე დროს, „მერსედესმა“ სასიამოვნოდ გაგვაოცა. მათ გარდა, „ლოტუსსაც“ მოწინავეთა შორის მოვიაზრებ, თუმცა, მათ საიმედოობასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები ჰქონდათ. რაც შეეხება „მაკლარენს“, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი“.

და რა მდგომარეობაშია „ფერარი“? ფერნანდო ალონსო აღიარებს, რომ ა138 შარშანდელ მანქანაზე ორასჯერ უკეთესია. ტესტ პილოტი მარკ ვებერი მას კვერს უკრავს. მისი თქმით, ამ სეზონშიც გამარჯვებისთვის რამდენიმე გუნდი იბრძოლებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ალონსო მანქანით კმაყოფილიაო. ჩვენ იქ ვართ, სადაც ვგეგმავდით, მაგრამ არ ვიცით, სხვები რა დონეზე არიანო.

დაბოლოს, „ლოტუსზე“. კიმი რაიკონენი ახლახანს საჭმლით მოწამლულა, თუმცა ამან მისი სატესტო პროგრამა ვერ შეაფერხა. ის ფიქრობს, რომ გუნდების განლაგება არ შეიცვლება. აგრეთვე დარწმუნებულია, რომ წინ დაძაბული ბრძოლები ელის და დროებს შორის სხვაობა კიდევ უფრო შემცირდება. ამაში მას სრულად ეთანხმება „მაკლარენის“ სპორტული დირექტორი სემ მაიკლი.

**მანუჩარ გიორგაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ფესვები**

# გურამ ოდიშარია: კულტურის აღორძინება ფოთიდან უნდა დავიწყოთ!

**ქართული კულტურა ათასწლეულებით არის ნასაზრდოები. იგი, როგორც ზნეობრივ-ფილოსოფიური ფენომენი, განუყოფელია ქრისტიანული მოძღვრებისაგან. ამას მოწმობენ უკვდავი ხუროთმოძღვრული და სამწერლობო ძეგლები; ქართული გენი განფენილია მითოლოგიაში, სიმღერაში, ცეკვაში, როგორც მარადიული ცოცხალი ისტორია...**

ერთ დროს კოლხეთის კულტურული და ეკონომიკური ცენტრი ფაზისი სტაგნაციამ მოიცვა. მისთვის არავის ეცალა. მიუხედავად გეოპოლიტიკური მნიშვნელობისა, ვერ მოხვდა ნაციონალების პოლიტიკური ინტერესების არეალში. ამდენად, გასაგებია ის მოლოდინი, რომელიც კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის ფოთში ჩამოსვლას ახლდა. მისასალმებელია ახალი კონცეფცია, მთავარი მიზანი — კულტურის აღმავლობა საქართველოს საზღვაო კარიბჭიდან დაიწყოს. ამას იმსახურებს უძველესი კულტურის და განათლების კერა — ისტორიული „ფაზისის“ აკადემია. მინისტრს თან ახლდნენ პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი და მრჩეველი, ცნობილი მხატვარი გიორგი გეგეჭკორი.

შეხვედრა მერიიდან დაიწყო. სტუმრები მიიღო ქალაქის მერმა დავით სარსანიამ. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, ქალაქის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი მუშაკები. ფაზისის უძველესი კულტურის გაცოცხლება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, მას უნდა იცნობდეს საქართველო! ეს იყო დევიზი ამ ერთი დიდი სტუმრობის, ამ ერთი, მართლაც, ლამაზი დღისა.

სტუმარ-მასპინძლებმა გეზი ნიკოლაძის კოშკისკენ აიღეს. საოცარი მიზიდულობა აქვს ამ ადგილს, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა უდიდესი განათლებისა და ენერგიის მქონე ქართველი.

ქალაქის კულტურის ისტორია და დღევანდელობა მიმოიხილა მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა ლელა კემულარიამ. მან დამსწრეთ გააცნო პრობლემები, რომელიც სასწრაფოდაა მოსაგვარებელი, მით უფრო, რომ წელს სამი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა აღსანიშნავი: ნიკო ნიკოლაძის დაბადების 170 წლისთავი, ნავსადგურის 155 წლისთავი და ფოთის ფეხბურთელთა გუნდის — „კოლხეთის“ 100 წლის იუბილე (ფეხბურთის აკვანი ხომ ძირძველ ფაზისში დაირწა).

შეხვედრაზე მწვავედ დაისვა მუზეუმის რესტავრაციისა და რემონტის საკითხი, ქალაქის საგამოფენო დარბაზის დირექტორმა გოგი გაგუამ ისაუბრა ელგუჯა ამაშუკელის „კოლხი დედის“ ბრწყინვალე ძეგლის (რომელიც ამას წინათ აიღეს) ადგილის თაობაზე. ნიკოლაძის დაგეგმარებით ყველა გზა ტაძართან მიდიოდა (12 მოციქულის მსგავსად), ახლა იგი შემოღობილია, თანაც, ორ ქუჩაზე მოძრაობა ცალმხრივია. ღობე აუშნოებს ტაძარს, რაც მოქალაქეთა უკმაყოფილებას იწვევს. მან ასევე ისაუბრა ნიკოლაძის კოშკის მიმდებარე კედლის მორღვევის დაუშვებლობაზე, რაც ისტორიის ნგრევის, წაშლის ტოლფასია.

კულტურის სამსახურის უფროსის მოადგილემ დოდო ხუხიამ დააყენა საკითხი კოლხური კულტურის მუზეუმისათვის ცნობილი მეცნიერის — გიორგი ჩიტაიას სახელის აღდგენის თაობაზე. ის ერთი პერიოდი ფოთის მერიც გახლდათ და მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქალაქის კულტურის აღორძინებაში.

ძუკუ ლოლუას, მიხეილ ხავთასის, არჩილ ხორავას ქალაქში ასაღორძინებელია მხატვრული თვითმოქმედება. ისიც მრავლისმთქმელია, რომ ფოთში იყო საქართველოში პირველი საბავშვო თეატრი, რომელსაც ძუკუ ლოლუას და — დაშა ლოლუა ხელმძღვანელობდა.



პარლამენტარმა ეკა ბესელიამ საიუბილეო ღონისძიებებთან დაკავშირებით თქვა, რომ ყველა ობიექტის განახლება ვერ მოესწრება, მაგრამ ნიკოლაძის კოშკი-მუზეუმის რესტავრაცია უნდა მოესწროს. რაც შეეხება მშენებარე თეატრს, მიღწეულია შეთანხმება ფინანსთა სამინისტროსთან თანხის გამოყოფის თაობაზე და წლის ბოლომდე იგი დამთავრდება.

სტუმარ-მასპინძლებმა მშენებარე თეატრიც დაათვალიერეს. დიდი დარბაზი 600 მაყურებელს დაიტევს. მას ექნება მცირე დარბაზები და კაფე-ბარიც. შემდეგ ფოლკლორის ცენტრში გადაინაცვლეს, სადაც ამჟამად განთავსებულია ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი. პრობლემებსა და პერსპექტივებზე ისაუბრა თეატრის დირექტორმა თენგიზ ხუხიამ.

თავადაზნაურთა საზოგადოების თავმჯდომარემ, მწერალმა პეტრე ქორჩაკიძე-ჭალადიდელმა ისაუბრა ფაზისის კულტურულ მემკვიდრეობაზე, ნიკოლაძის ღვაწლზე. მან აღნიშნა, რომ ახალი თეატრი გაიხსნება სპექტაკლით „ცოტნე დადიანი“ (ავტორი — აკადემიკოსი ზურაბ რატიანი).

2 ათასი წლის წინათ რიონის სანაპიროზე იდგა ქალღმერთ ნენანას ძეგლი, ხელში ქნარი ეჭირა, ფერხთით ლომები იწვა. უძველესი ლეგენდა, მითი თუ რეალობა უკავშირდება ფოთს; იგი მხოლოდ ინდუსტრიული ქალაქი არაა, იგი უძველესი კულტურის ქალაქია — კოლხური კულტურის ცენტრი — ფაზისი.

გიორგი გეგეჭკორმა ყურადღება გაამახვილა ცოტნე დადიანის სახელობის ეკლესიის მშენებლობის განახლების აუცილებლობაზე. იგი წლების წინათ აკურთხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. სპონსორებიც მოიძებნა, თუმცა, საქმე ადგილიდან არ იძვრის. მან აცნობა დამსწრე საზოგადოებას, რომ „ფაზისის“ საერო აკადემიის პრეზიდენტმა ნუგზარ ნადარაიამ დააყენა საკითხი თბილისის მეტროს ერთ-ერთი სადგურისათვის ცოტნე დადიანის სახელის მინიჭების თაობაზე, რასაც ოვაციით შეხვდნენ ფოთელები.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ ისაუბრა კულტურული ცენტრების აღდგენა-აღორძინების ახალ კონცეფციაზე, პრობლემებზე, ფოთის კულტურულ მემკვიდრეობაზე. სამწუხაროა, რომ ქვეყანა, სადაც 100 წლის წინათ კინო გადაიღეს — „აკაკის მოგზაურობა“, დღეს კინოთეატრის გარეშეა დარჩენილი, მხოლოდ თბილისსა და ბათუმში ფუნქციონირებს რამდენიმე კინოთეატრი. ახალგაზრდებს არა აქვთ გართობისა და დასვენების კერები. მან იქვე აღნიშნა, რომ არ უნდა დაინგრეს კოშკის კედელი, სადაც დიდმა აკაკიმ სურათი გადაიღო.

მინისტრმა ისაუბრა პარლამენტარ ეკა ბესელიას მხარდაჭერით თეატრის მშენებლობისათვის ფინანსების გამოყოფის შესახებ. აღნიშნა, რომ ქართული კულტურის პროპაგანდის მიზნით იქმნება ახალი ტელეარხი. კულტურამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს კონფლიქტურ რეგიონებში შესვლის პროცესის დაჩქარებაში.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ასეთი შანსი ფოთს აქამდე არ ჰქონია, — თქვა შეხვედრაზე ქალაქის მერმა დავით სარსანიამ. მან აღნიშნა, რომ მალე დაიწყება აღორძინების პროცესი და ამაში უდიდესი დაინტერესებაა ხელისუფლების, მინისტრის გურამ ოდიშარიას და პარლამენტარ ეკა ბესელიას მხრიდან. მან მადლობა გადაუხადა კულტურის მუშაკებს, თეატრის მსახიობებს, რომლებიც უანგაროდ ემსახურებიან სულიერი აღმავლობის დიდ საქმეს. მან ასევე დიდი მადლობა გადაუხადა სტუმრებს ქალაქის კულტურის პრობლემებით დაინტერესებისათვის, მათი გადაწყვეტის ახალი გზების დასახვა-რეალიზაციისათვის.

სტუმრები გაეცნენ საგამოფენო დარბაზის, ხელოვნების სკოლისა და სასწავლებლის, საქალაქო ბიბლიოთეკისა და მუზეუმის პრობლემებს. სამინისტრო განიხილავს მუზეუმისათვის გიორგი ჩიტაიას სახელის აღდგენის საკითხს. აქ დრო, თითქოს, გაყინულა, უნიკალურ ნივთებში, ექსპონატებში განფენილა. ალბათ, ბევრი რამ 3500 წლის წინანდელია, აქ ფეთქავს პატარა ქალაქის დიდი ისტორია.

კიდევ ერთხელ გავახმიანეთ, რომ კოლხური კვალი არ უნდა წაიშალოს. როგორც ორაგული მიილტვის დაბადების ადგილისაკენ, საწყისისაკენ, ისე ჩვენც უნდა ვისწრაფვოდეთ ფესვებისაკენ. თუ ხის სიმაღლე ფესვებიდან იზომება, სამშობლოს სიმაღლე — მისი წარსულიდან. ჩვენ ჩვენი ისტორიიდან მოვდივართ...

ვათვალიერებ სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებულ ბუკლეტებს და თითქოსდა ხელახლა იბადება უცნობი ფოთი — ფაზისი, ქალაქი, სადაც ასე თანაარსებობს წარსული, დღევანდელობა და მომავალი. დაე, ისევ აკიაფდეს ფაზისის კანდელი ოცნების ქალაქში.



**ზურაბ აბრალავა,**
**„სრ“ საკ. კორ.**
**ფოთი.**

**სანთელი**

# ზვიად (თემურ) ჯანჯღავას მონატრება



უფალო, მიხსენ, კვლავ ამინთე გულში ნათელი და სულს მოჰფინე შორეული სივრცის ნათელი (გ. ჩოხელი)

გაუსაძლისი ტკივილი და უსაზღვრო მონატრებით გაილია ოცი წელი უშენოდ. მოულოდნელად ჩაიფერფლა ჩემთვის უძვირფასესი სიცოცხლე. რა ულმობელია დრო, ჩვენ ხომ ერთმანეთის იმედით ვიყავით ორნი — მე და შენ. ზოგჯერ ცოცხლად დარჩენა უფრო ძნელია, ვრზუნავდი, გიფრთხილდებოდი, მაგრამ ვაი ვერ გიშველე.

უნაპირო სევდა, გაუსაძლისი ტკივილი, მშობლიურ კუთხეში დაბრუნების წყურვილი და... საფლავის მონატრება, ყოველივე ამას ჩვენი სული იტევს. ზვიად დარდი დარდს ემატება და უზარმაზარი ფიქრის გორის მწვერვალზე შენ დგახარ. შენი წმინდა საფლავი გვენატრება, გარინდული ყველასაგან მოკრძალებას რომ ითხოვს.

1993 წლის 6 მარტი ჩვენთვის ავადმოსაგონარი დღეა, მტერთან ბრძოლაში გიმხსვერპლა მუხანათმა ტყვიამ, საქართველოს შესწირე შენი ლამაზი და საინტერესო სიცოცხლე. უანგაროდ ემსახურე შენს მამულს. ბედნიერ მომავალზე ფიქრობდი, მაგრამ არ დაგცალდა. სიცოცხლეში გამორჩეული იყავი და სიკვდილიც გმირული გერგო.

შენი საფლავი შორსაა ჩვენგან, სოხუმის მიწაში განისვენებს შენი წმინდა სული და სხეული და გვიათკეცებს უშენობის სევდას. შენი სურათებია შენი საფლავი და იმედი, იმედი იმისა, რომ სადღაც გვეგულები და შევხვდებით ერთმანეთს.

დღეს ეკლესიაში მოვიგონებთ შენს სულს, შენდობას ვიტყვით შენზე, რომ ჩვენს დათუთქულ გულებს შვება მიეცეს.

რა მძიმეა იარა, რომელიც შენმა დაკარგვამ მოგვაყენა.

დიდი გული გქონდა, ტყვიაც გულით დაიჭირე. ბედისწერამ ქრისტეს ასაკში გარგუნა სიკვდილი, ალბათ, ესეც რჩეულთა ხვედრია. იბრძოდი სოხუმის მისადგომებთან, 1993 წლის 6 მარტს მტრის სნაიპერის ტყვიამ განგმირა შენი სიცოცხლე.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდი მედლით „მხედრული მამაცობისთვის“ და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ვევედრები არსთა გამრიგეს, დაგიმკვიდროს „სასუფეველი ცათა შინა“. მაპატიე, რომ უშენოდ გრძელდება ჩემი სიცოცხლე.

**მეუღლე მზია, ახლობლები**



**ვაჟა მეტრეველი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა უახლოესი მეგობარი, კოლეგა, ღირსეული მამულიშვილი**

**ზურაბ გიგინეიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**ინფორმაცია**

# დაკავებულია განზრახ მკვლელობაში ბრალდებული

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაღდათის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობის ბრალდებით იუზა ნ. დააკავეს.**

**სამინისტროს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, შურისძიების მიზნით, 1946 წელს დაბადებულ გენადი გუბელაძეს დანის მრავალჯერ დარტყმით, სხეულზე მძიმე ჭრილობები მიაყენა.**

**შსს-ს ცნობით, დაჭრილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, იუზა ნ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს.**

**გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის შესაბამისად მიმდინარეობს. ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.**

**ინტერპრესი**

**განცხადება**

სს „გრაალი 92“-ის მეთვალყურეთა საბჭო გაცნობებთ, რომ ა/წლის 10 აპრილს გაიმართება აქციონერთა კრება

დღის წესრიგი:

1) 2012 წლის საწარმოს მოღვაწეობის შედეგების განხილვა;
2) აქციონერთა მეთვალყურეთა საბჭოს არჩევნები.

5 პროცენტს ზევით აქციათა მფლობელების დასწრება სავალდებულოა.

განმცხადებელი
სს „გრაალი-92“-ის მეთვალყურეთა საბჭო



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### განაჩენი მკვლელ პრეზიდენტს



**ყირგიზეთის დედაქალაქის ბიშკეკის სამხედრო გარნიზონის სასამართლომ ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს ყურმანბეკ ბაკიევსა და მის ძმას ჟანიბეკს მკაცრი განაჩენი გამოუტანა.**

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელის მედეთ სადირკულოვისა და მისი ორი თანამგზავრის მკვლელობაში მონაწილეობისთვის ყურმანბეკს 24 წლით თავისუფლების აღკვეთა პატიმრობის ვადის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაცია მიუსაჯეს. ჟანიბეკს კი სულაც სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს და გენერალ-ლეიტენანტის წოდებაც ჩამოართვეს.

2010 წელს ყირგიზეთში მორიგი რევოლუციის შემდეგ ექს-პრეზიდენტმა თავი ბელარუსს შეაფარა და იქაური მოქალაქეობაც მიიღო. ლუკაშენკოს ფრთას აფარებს თავს მისი ძმა ჟანიბეკიც. ძმების გაცემაზე მინსკი კატეგორიულ უარს აცხადებს.

ამასთან, გამორიცხული არ არის, რომ ყურმანბეკ ბაკიევს სასჯელის ვადა გაუზარდონ — ამჟამად ყირგიზეთში 2010 წელს დემონსტრანტების დახვრეტის საქმეზე სასამართლო პროცესი მიმდინარეობს.

### უშარვლოები და შარვლიანები

**რევოლუციის ეპოქაში, 1799 წელს, პარიზში კანონი გამოსცეს, რომელიც ქალბატონებს შარვლების ტარებას უკრძალავდა, ხოლო ვისაც მაინცდამაინც შარვლის ჩაცმა სურდა, ან პოლიციის უფროსის ნებართვა უნდა ჰქონოდა, ანდა ციხე ემუქრებოდა.**

მკაცრი დრეს-კოდი ლატაკ-სანკიულოტთა (სანკიულოტი, სიტყვა-სიტყვით, „უკიულოტოს“, ანუ მუხლებამდე შარვლის უქონელს ნიშნავს, რომლებსაც იმხანად არისტოკრატები ატარებდნენ) რევოლუციურ მოძრაობას უკავშირდებოდა. ამ მოძრაობას ქალებიც ემხრობოდნენ.

მე-19 საუკუნეში მოდის მესვეურებმა მშვენიერი სქესის იმ წარმომადგენლებს, ვინც ცხენით ან ველოსიპედით დადიოდა, შეღავათი გაუკეთეს, თავად კანონის გაუქმებამდე კი საქმე ვერა და ვერ მივიდა, რადგან, როგორც ჩანს, კანონმდებლებს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხები ჰქონდათ გადასაწყვეტი. საქმე შარშან ზაფხულში დაიძრა, როცა საფრანგეთის ქალთა უფლებების დამცველებს... მამაკაცმა სენატორმა მიმართა. ცოტა ხნის წინათ კი ეს „ურჩხული კანონი“, როგორც იქნა, ოფიციალურად გააუქმეს, თუმცა კი, როგორც ყველამ კარგად ვიცით, მისთვის ყურადღება საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ არც არავის მიუქცევია.



ისე კი, უნდა ითქვას, რომ ეს ევროპაში ბოლო „განამარხებული კანონი“ სულაც არ არის. მაგალითად, ბრიტანელ დეპუტატებს დღემდე აკრძალული აქვთ პარლამენტის შენობაში... აბჯრით შესვლა. აკრძალულია, აგრეთვე, ბიბლიოთეკებში აზარტული თამაშები და მონარქისგამოსახულებიანი მარკის თავდაყირა დაკვრა.

### ელტონის მეორე შვილი

**პოპ-მუსიკის ინგლისელ ვარსკვლავს, ცნობილ ბისექსუალს ელტონ ჯონს მალე... მეორე შვილი ეყოლება იმ სუროგატი დედისგან, რომელმაც პირველი შვილი გაუჩინა.**



პოპულარული გამოცემის „სანის“ ცნობით, ელტონ ჯონმა და მისმა სამოქალაქო ქმარმა დევიდ ფერნიშმა ისევ ის ქალი დაიქირავეს, რომელმაც მათთვის 2010 წელს ვაჟიშვილი ზაქარი გააჩინა. თავად მომღერალს კი ადრეც ჰქონდა ნათქვამი, რომ დიდი სურვილი აქვს მას და დევიდს ოჯახში ერთ შვილზე მეტი ჰყავდეთ.

### ცხენიანი და უცხენო უფლისწულები

**ცნობისმოყვარე ჟურნალისტებმა მსოფლიოს ყველაზე მიმზიდველ საქმროთა ნუსხა შეადგინეს, რომლის №1 ინგლისის დედოფლის ელისაბედ II შვილიშვილი, 28 წლის უფლისწული ჰარი — ყოჩაღი ჯარისკაცი და, საერთოდ, მხიარული ახალგაზრდა კაცია.**



ბრიტანეთის ტახტის ერთ-ერთი მემკვიდრის შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა 32 წლის ავსტრალიელი გოლფის მოთამაშე, წარმატებული სპორტსმენი და მეტად მომხიბლავი მამაკაცი **ადამ სკოტი,** რომელმაც შარშან საპრიზო თანხებით სამი მილიონი დოლარი გამოიმუშავა. „ბრინჯაო“ კი დიზაინერ რალფ ლორენის 43 წლის ვაჟიშვილს, სცენარისტთა და ტელეპროდიუსერს, მამის იმპერიის მემკვიდრეს **ენდრიუ ლორენს** ერგო.

სხვათა შორის, რეიტინგში მოხვედრილ ორმოც ბერბიჭას შორის ცნობილი ადამიანების შვილები ლიდერობენ. მათ შორის არიან **კლინტ ისტვუდის ვაჟიშვილი სკოტ ისტვუდი, „ტერმინატორის“ ვაჟიშვილი პატრიკ შვარცენეგერი, მოკლული სენატორის რობერტ კენედის ვაჟიშვილი კონორი.** მრავლად არიან ასევე ევროპის სამეფო სახლების შთამომავლები, მათ შორის **საბერძნეთის უფლისწული ფილიპოსი, შვედეთის უფლისწული კარლ ფილიპი და ბელგიის უფლისწული ამადეო.**

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ნუსხაში „ბებრების“ ადგილიც მოიძებნა. შესაშურ საქმროებად დღემდე ითვლებიან მსახიობები **ჯორჯ კლუნი, ჯეკ ნიკოლსონი** და, თქვენ წარმოიდგინეთ, 79 წლის მწერალი **ფილიპ როტი.**

## ანეკდოტები

**თუ** თქვენზე კარგად ლაპარაკობენ, ნუ შეაწყვეტინებთ, ნუ წამოდგებით კუბოდან.

* * *

— **ქალიშვილო,** სად შეიძლებოდა რომ მენახეთ?

— მე მოდელი ვარ.

— მაპატიეთ, ნამდვილი მეგონეთ.



**ნარკოტიკების** მძებნელი ძაღლები იმდენად გაწვრთნილები იყვნენ, რომ რელიგიურ ლიტერატურასაც კი უყეფდნენ.

* * *

**დეპუტატ** ქალს ქმრისთვის უარის თქმის მიზნით სულაც არ სჭირდება თავის ტკივილის მომიზეზება — საკმარისია მისთვის სადეპუტატო ხელშეუხებლობის შეხსენება.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### „რუსეთთან დიალოგი უნდა დაიწყოს“

**ქვეყანაში** დიდი ჟრიამულია ატეხილი — ახალი ხელისუფლება საგარეო კურსის შეცვლას აპირებსო. ნაციონალების მტკიცებით, საქართველო დღე-დღეზე რუსეთის ნაწილი გახდება. ამ ბრალდებას მეოცნებეები სისულელეს უწოდებენ და ლამისაა თავადაც ნატოს ლოგოზე დაიფიცონ.

— მე რასაც ვუყურებ, საგარეო კურსი არ იცვლება, — ამბობს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივანი ალეკო შალამბერიძე, — უბრალოდ, ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო რუსეთთან საერთო ენის გამონახვა, რაც მისასალმებელია. უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენს ტერიტორიულ პრობლემებს რუსეთის გარეშე ვერ მოვაგვარებთ.

**„ახალი თაობა“**

### კალაძე საპრეზიდენტო ამბიციებს არ ადასტურებს

**დააყენებს** თუ არა კოალიცია საპრეზიდენტო არჩევნებში კახი კალაძის კანდიდატურას, ენერგეტიკის მინისტრმა ასეთი პასუხი გასცა: „ნამდვილად არ შემიძლია ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე გითხრათ, რადგან ამაზე საუბარიც კი არ ყოფილა. თანამდებობა, რომელიც დღეს მიკავია, არც ამ პოსტზე გამაჩნდა არანაირი პრეტენზია“.

**„რეზონანსი“**

### „მე-9 არხი“ გაიყიდა?!

**გავრცელებული** ინფორმაციით, „მე-9 არხი“ გაიყიდა და მისი მფლობელი „გლობალ-TV“-ის ამერიკელი თანამფლობელი ალექსანდრე რანუესია.

თუმცა, ამ ინფორმაციის შესახებ არაფერი იცის „მე-9 არხის“ გენერალურმა დირექტორმა ლუბა ელიაშვილმა. დაველოდოთ, რა იქნება.

**„ალია“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com